

**პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე,  
საქართველოს სახელმწიფოში  
აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის  
შესახებ კონცეფციასთან დაკავშირებით**

**თბილისი  
2007**

პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე, საქართველოს სახელმწიფოში  
აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ  
ქონცეფციასთან დაკავშირებით

**შესავლის ავტორი:** ლორენს ბროუერსი (Conciliation Resources)

**ტექსტის შედგენა, გამართვა და რედაქტირება:**

ნინო კალანდარიშვილი, ლორენს ბროუერსი  
და პაატა ზაქარეიშვილი

**გარეკანზე:**

მოედანი, ალბერტო ჯაკომეტი

Photo Mirko Lion © ADAGP 1985 Peggy Guggenheim Collection, Venise

„იუნესკოს კურიერი“ 1985, ნომბერი

Copyright © Conciliation Resources

173 Upper Street, London N1 1RG, United Kingdom

Tel: +44 (0) 207-359 7728

Fax: +44 (0) 207-359 4081

Website: <http://www.c-r.org>

## შესავალი

დოკუმენტი, „პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე, საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციასთან დაკავშირებით“, შედეგია იმ დისკუსიების სერიისა, რომელიც გაიმართა საქართველოს მოქალაქეებსა და „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის“ (შემდგომში, „კონცეფცია“) ავტორებს შორის. დოკუმენტი, რომელიც თავდაპირველად 2004 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“, წარმოადგენდა მცდელობას, დეტალურად განესაზღვრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების სამუშაოები, რაც ქართველებისა და აფხაზების ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრებას ემყარებოდა. კონცეფციის შემუშავებაში რამოდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხებზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ქართველ ექსპერტთა ჯგუფი, რომლებსაც, რიგ საკითხებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ექსპერტებთანაც მოუწიათ თანამშრომლობა. კონცეფციას მისი ავტორები განიხილავენ, როგორც პოლიტიკურ დოკუმენტს, რომლის მიზანია, დეტალური ხედვის წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა სახის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, ინსტიტუციონალურ და პრაქტიკულ პირობებშია შესაძლებელი ქართველებსა და აფხაზებს ჰქონდეთ საზიარო სახელმწიფოებრიობა. კონცეფცია არ არის ოფიციალური დოკუმენტი და არც საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ხედვას გამოხატავს. ეს კონცეფცია წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრის მეთოდებზე სერიოზული დისკუსიების წამოწყების მცდელობას, უმთავრესად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელების მხრიდან, რაც, საბოლოოდ, შეიძლება აღმოჩნდეს ფორმალური, ოფიციალურად აღიარებული პოზიციის შემუშავებისა და მოლაპარაკების საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზებმა ამ კონცეფციაში მოყვანილ წინადადებებთან დაკავშირებულ დებატებში მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. ამასთან, ქართული საზოგადოების ნაწილმა არ გაიზიარა კონცეფციაში წარმოდგენილი წინადადებები და არგუმენტები. ეს ნამდვილად არ

უკარგავს დამაჯერებლობას აღნიშნულ წინადადებებსა და არგუმენტებს და არ აკნინებს წამოწყებული მსჯელობა-დისკუსიების ხარისხს, თუმცა მეტყველებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ამჟამად არსებულ დისტანციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პუბლიკაციის მიზანი, გარკვეულწილად, არის ამ უთანხმოების განხილვა და მისი დაკავშირება ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წინადადებებთან.

კონცეფციის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულად მიუდგეს ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ პოზიციას ფედერალიზმის თაობაზე, რომელიც აღიქმება, როგორც უმართებულო მიდგომა ეთნიკური მრავალფეროვნებისა და თვითმმართველობის საკითხებთან მიმართებაში. ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ სეპარატისტულ კონფლიქტებში ტერიტორიული მთლიანობისთვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის აშკარა მხარდაჭერა იმის გარანტიაა, რომ სახელმწიფოს ფედერალური მონყობა სულაც არ არის ერთადერთი გამოსავალი, და რომ ავტონომია არის ის მაქსიმუმი, რისი მიღების იმედიც აფხაზებს რეალურად შეიძლება ჰქონდეთ. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ არცერთ პოლიტიკურ ძალას არ დაუზუსტებია, თუ როგორ შეძლებს მმართველობის ავტონომიური ფორმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას. გარდა ამისა, იმ დროს, როცა საუბარია კოსოვოსთვის „პირობითი დამოუკიდებლობის“ მინიჭებაზე და ამ ნაბიჯის საერთაშორისო მხარდაჭერაზე, ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს, ისევე, როგორც სხვა ისეთ სახელმწიფოებს, რომლებსაც სეპარატისტულ ტერიტორიებზე იურისდიქციის აღდგენა სურთ, პირველ ყოვლისა, ფედერალიზმის მნიშვნელობის შესახებ სერიოზული დაფიქრება მართებთ.

ბევრი აფხაზისთვის საბჭოთა მემკვიდრეობა საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ფედერალიზმი, როგორც ქართველებთან თანაცხოვრების სხვადასხვა ვარიანტების განხილვის ამოსავალი წერტილი, მათთვის იმთავითვე მიუღებელი გახდეს. კონცეფცია ამ პოზიციებს ეჭვქვეშ აყენებს, გვთავაზობს რა საფუძვლიან შემხვედრ წინადადებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყოს ფედერალურმა მონყობამ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ურთიერთობების შეცვლა,

კერძოდ კი, აფხაზეთისათვის განსაკუთრებული სტატუსის შეთავაზებით ფედერალიზებული საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

მას შემდეგ, რაც კონცეფცია გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა, და, ასევე, ბუკლეტების სახით 1,000-იანი ტირაჟით გამოიცა, დაიწყო საკონსულტაციო პროცესი მოქალაქეებთან ამ დოკუმენტზე მათი რეაქციის და კრიტიკული შენიშვნების დასადგენად. ამისათვის, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ჩატარდა დაახლოებით 40 საჯარო შეხვედრა, რომლის დროსაც კონცეფციის ავტორები დამსწრეთ აცნობდნენ მის შინაარსს და ინიშნავდნენ დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ამ შეხვედრებში მთლიანად 1500 ადამიანი მიიღო მონაწილეობა, დამსწრეებს მეტწილად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა წარმოადგენდა.

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილია ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვები და სანუხარი და კონცეფციის ზოგიერთი ავტორის მცდელობა, პასუხი გასცეს ამ შეკითხვებსა და სანუხარს. ქართველებს უამრავი შენიშვნა აქვთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ნებისმიერ მეთოდთან დაკავშირებით, რაც აქ წარმოდგენილი კითხვებით დასტურდება. პირველი ის არის, რომ არსებობს თანდაყოლილი უნდობლობა ფედერალიზმის, როგორც საზიარო ან დელეგირებული სუვერენიტეტის კონცეფციის მიმართ. ფედერალური მონყობის კონცეფციის დისკრედიტაცია გამოიწვია მისმა გაიგივებამ სეპარატიზმთან და გარეშე ძალების მიერ უმცირესობების მანიპულაციასთან. ასევე არ არსებობს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რეალურად როგორ იმუშავებს ქვეყნის ფედერალური მონყობა საბჭოთა პერიოდისდროინდელ დიფუნქციურ ფედერალურ მონყობასთან შედარებით. მეორე ის არის, რომ არსებობს შეშფოთება იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დაბრუნების პროცედურებთან დაკავშირებით; იძულებით გადაადგილებულ პირებს 1992-93 წლების ომის დროს აფხაზეთი იძულებით დაატოვებინეს და ახლა ისინი საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არიან გაფანტულები. მესამე ის არის, რომ არსებობს გამუდმებული შეშფოთება საქართველოს სახელმწიფოს უნართან დაკავშირებით, რუსეთის ჩაურევლად შესძლოს აფხაზეთთან ურთიერთობის მოგვარება. და ბოლოს, კომპრომისის იოლად მიღწევის შესაძლებლობას ართუ-

ლებს ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება მართლმსაჯულების შესახებ, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

სწორედ ეს პრობლემებია ასახული აქ გამოქვეყნებულ „ხშირად დასმულ კითხვებში“. ისინი ურთიერთდაკავშირებული კითხვების ხუთ ჯგუფადაა დაწყობილი, ესენია: კონცეფციის გაცნობა, აფხაზეთისათვის შეთავაზებული განსაკუთრებული სტატუსის განმარტება, ფედერალური და ადგილობრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების და ურთიერთქმედების განსაზღვრა, დევნილთა დაბრუნების სავარაუდო პროცედურები და პოტენციური პრობლემები და რისკები.

ავტორები ამ პრობლემებს რამდენიმე გადასახედიდან განიხილავენ. კონცეფციის ამოსავალი წერტილია საქართველოს სახელმწიფო მოწყობის რეკონფიგურაცია ფორმალური ფედერალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით, სადაც აფხაზეთი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება, თუმცა განსაკუთრებული უფლებამოსილებითა და პრივილეგიებით. ეს ავტონომიისაგან განსხვავებული მდგომარეობაა, რადგანაც აფხაზეთს საგანგებო სტატუსი ზემოდან, ქართული სახელმწიფოს მიერ კი არ ენიჭება, არამედ იგი თავად მისი, საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ერთეულის სტატუსიდან გამომდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთის, როგორც ფედერალური ხელისუფლების დამფუძნებელი პარტნიორის სტატუსი, განსხვავებული იქნება, თუნდაც აჭარის სტატუსისაგან, რომელიც გამომდინარეობს ფედერალური უფლებამოსილების მქონე კონსტიტუციური კანონიდან. წინამდებარე დოკუმენტის ავტორები შედარებით ვრცლად განმარტავენ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ფედერალური ურთიერთობების მათეულ კონცეფციას იმ პრინციპის ჩათვლით, რომლის მიხედვითაც კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ხელისუფლების იმ დონეზე უნდა ხდებოდეს, რომელიც ამისთვის ყველაზე მიზანშეწონილია. აქვე განიხილება აფხაზეთის სტრუქტურების მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გარანტიები, ფედერალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონფლიქტის მოგვარების ჩარჩოები და ფედერალიზმის უპირატესობა კონფედერაციასთან შედარებით.

აფხაზეთის უმთავრესი გარანტია კონცეფციაში შემოთავაზებული მოწყობის ფარგლებში არის ის, რომ დამფუძნებელი

ფედერალური ხელშეკრულების შეცვლა ცალმხრივად, ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარის მიერ, შეუძლებელია. ანუ, აფხაზეთის ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანხმობის გარეშე ვერ შეიცვლება დამფუძნებელი ფედერალური ხელშეკრულების პირობები, რომლითაც განისაზღვრება უფლებამოსილებების განაწილება ფედერალურ და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის. ამ ნაწილში ავტორები, სათანადო სიფრთხილის მოხმობით, ცდილობენ ფედერალური მონყობის უფრო მეტი მდგრადობა წარმოაჩინონ, კონფედერალურთან შედარებით. ხოლო ქართული მხარის შიშებს ლეგალიზებულ გამოყოფასთან დაკავშირებით კი იმით აქარწყლებენ, რომ სთავაზობენ – არაკონსტიტუციურად ჩაითვალოს ერთი ფედერალური სუბიექტის მიერ გამოყოფის საკითხის ცალმხრივად დაყენება.

ამავე დროს, ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ აფხაზეთი არ იქნება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, თუმცა მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო პროცესებში საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში. ავტორთა აზრით, ის, რასაც კონცეფცია მკითხველს სთავაზობს, გარკვეულ „შიდა სუვერენიტეტს“ წარმოადგენს, ანუ, როგორც ხშირად მოიხსენიებენ, თვითგამორკვევის შიდა უფლებას. ავტორების ვარაუდით, აფხაზეთისათვის ამგვარი მონყობის მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ არ ჩანს არანაირი პერსპექტივა, რომელიმე სახელმწიფომ აღიაროს ის დე-ფაქტო დამოუკიდებლობა, რომელიც აფხაზეთს დღეს გააჩნია. თუმცა, ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში უმრავლესობათა და უმცირესობათა წარმოდგენაში სახელმწიფო ასოცირდება მისთვის სახელის მიმნიჭებელ სატიტულო ერთან, ვიდრე მის საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლიობასთან. ამ კონტექსტში ძნელი გასაგებია, თუ რითი განირჩევა სახელმწიფოებრიობის ფედერალური კონცეფცია იერარქიული ურთიერთობების სტერეოტიპებისაგან. ეს გახლავთ დისფუნქციონალური საბჭოთა ფედერალიზმის მემკვიდრეობა, რომელიც კვლავ წარმოშობს იმ შემეცნებით არეს, სადაც ქართველებიც და აფხაზებიც ფედერალიზმის შესახებ თავიანთ პოლემიკას წარმართავენ.

კითხვა-პასუხების მეორე წყება ცდილობს განმარტოს – სავარაუდოდ როგორ იფუნქციონირებს სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტები ქართველთა და აფხაზთა გაერთიანებული სახელ-

მნიფოს კონტექსტში. სხვა საკითხებთან ერთად, აქ განიხილება აფხაზეთის პარლამენტის შემადგენლობა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და სამართალდამცავი სტრუქტურები აფხაზეთში, ჯარში განვევა, ფინანსური ურთიერთობები აფხაზეთსა და ფედერაციას შორის, ფულის მიმოქცევა, ენის საკითხები და მოქალაქეობა.

ამ ჯგუფის კითხვებზე პასუხები ერთობლიობაში წარმოადგენენ იმის მცდელობას, რომ საპროგრამო ნუსხაში აქცენტი უფრო უწყებრივი ურთიერთქმედების ჩარჩოების განხილვაზე გადაიტანონ, ვიდრე ეთნიკური ერების სუვერენიტეტზე. ამგვარი მიდგომა ერთგვარ რეაქციას წარმოადგენს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში კვლავ გაბატონებულია ისტორიული და ეთნიკური პრეტენზიები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლემიკის შიდა სცენაზე. ამგვარი პრეტენზიები უთუოდ რეტროგრადულია და ცდილობს, ისტორიული ანალიზის მოხმობით, დაამტკიცოს საქართველოს აფხაზეთისადმი პრეტენზიების უპირატესობა. განსხვავებით ამ მიდგომისაგან, კონცეფცია აშკარად პროგრესული წინმსწრაფი დოკუმენტია, რომელიც შეგნებულად უვლის გვერდს ისტორიულ პრეტენზიებს, რათა მომავალი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოლიტიკური საფუძველი წარმოსახოს. მისი ავტორები დაუფარავად აცხადებენ, რომ ისტორიული კვლევები კონფლიქტის მოგვარებისათვის წინააღმდეგობას ქმნიან. ასეთი პოზიცია, რომელიც წარსულის პრობლემასთან დაპირისპირების ერთ-ერთი მიდგომაა, საქართველოში შეიძლება ბევრისათვის მიუღებელი იყოს, რადგან გულისხმობს „ეროვნულ დავიწყებას“ აფხაზეთზე შეზღუდული სუვერენობის სანაცვლოდ. მიუხედავად ამისა, კონცეფციას სასარგებლო წვლილი შეაქვს სადისკუსიო პროგრამის განვრცობის და ერთობლივი ინსტიტუტებისთვის კონკრეტული წინადადებების შეთავაზების მხრივ, რისი მიღება ან მიუღებლობა უნდა მოხდეს ლოგიკური არგუმენტების საფუძველზე.

ამასთან ერთად, კონცეფციის ავტორები აღნიშნავენ, რომ დეტალების ერთგვარი განუსაზღვრელობა ნებისმიერი თავდაპირველი ჩარჩო-ხელშეკრულების აუცილებელი თვისებაა. თავიდანვე იმის დაჟინება, რომ დეტალებს ჩავუღრმავდეთ, მათი აზრით, მთავარ წინააღმდეგობას შექმნის პოლიტიკური ნების, ნდობის და პროცესის შედეგებზე ერთობლივი პასუხისმგებლო-



ბის გამოვლენის გზაზე. სწორედ ეს ქმის ლოგიკურ საფუძველს იმისათვის, რომ იმგვარი საკითხების კონკრეტულ დეტალებს, როგორცაა მომავალი საგადასახადო სტრუქტურა, ანდა დავები უნინ დევნილების საკუთრებაში მყოფი სახლების მფლობელობის თაობაზე, კონცეფცია განუმარტავს ტოვებს. ამ მხრივ, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების შედეგად ერთობლივად მიღწეულ გადაწყვეტილებებს ორივე მხარისაგან უფრო მეტი ლეგიტიმურობა და სავალდებულობა ენიჭება და, ამრიგად, მეტ მდგრადობას იძენს. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა შეესაბამება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებიდან მიღებულ გამოცდილებას, რამაც ცხადყო, რომ პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექსტი, და რომ საჭიროა პროცესს და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ნდობისა და ვალდებულების სფეროში გასავითარებლად დრო დაეთმოს.

იგივე მიდგომა აშკარად იკვეთება დევნილთა დაბრუნების შესახებ კითხვებზე ავტორების მიერ გაცემულ პასუხებში. შეკითხვები ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა – თუ რა რიგითობით შეძლებენ დევნილები დაბრუნებას რეგიონებისა და მიხედვით, ანდა როგორ მოგვარდება დავები დევნილთა და მათი ყოფილი სახლების ამჟამინდელ ბინადრებს შორის, რაც ბევრს საქართველოში და, მათ შორის, რა თქმა უნდა, თავად დევნილებსაც, ძალზე საჭირობოროტოდ მიაჩნიათ. ამ კითხვებზე პასუხისას ავტორები გაურბიან კონკრეტული მოთხოვნების ან ფორმულების ჩამოყალიბებას და მკითხველს სთავაზობენ, რომ ამგვარი პროცესების დეტალები დაზუსტდეს მოგვიანებით ეტაპზე, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობასთან სამუშაო ურთიერთობები და ურთიერთნდობა აღდგება. ასეთ მიდგომაში და დევნილთა დაბრუნების ზოგიერთი ღონისძიების შეგნებულ განუსაზღვრელობაში შემდგომი განვითარებაც იგულისხმება. ამიტომაც, საქართველოს იმ ხელისუფლებას, რომელსაც ამ დოკუმენტის განხორციელება მოუწევს, მტკიცე დემოკრატიული მანდატი დასჭირდება დევნილთა, და საერთოდ, საქართველოს მთელი მოსახლეობის ნდობის შესანარჩუნებლად. დემოკრატიის და კონფლიქტის მოგვარების ურთიერთდამოკიდებულება უფრო ჰიპოთეზის საგანს წარმოადგენს და დისკუსიის არეალის მიღმა რჩება. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ამგვარი, დროში შეუზღუდა-

ვი მოლაპარაკებების თანმხლები რისკები შეიძლება მხოლოდ ძლიერ დემოკრატიულ მანადტს დაეყრდნოს და აიგოს ხელი-სუფლებასა და ხალხს შორის ნდობაზე..

ავტორები ფრთხილად ეკიდებიან იმ საკითხსაც, რომ დევნილებს უეჭველად უნდა ჰქონდეთ დაბრუნების უფლება, თუმცა ეს ვალდებულებად არ უნდა გადაექცეთ. ხშირად ხდება, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფალთა პოლიტიკური რიტორიკა და დევნილთა ინტეგრაციის გზაზე შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებები დევნილ მოსახლეობას აფიქრებინებს, რომ დაბრუნება მათთვის ერთადერთი არჩევანია. დაბრუნების პროცესი, როგორც ამას კონცეფცია წარმოგვიდგენს, დაიწყება აღწერით, რომელიც მოიცავს აფხაზეთის ამჟამინდელ მცხოვრებლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ლტოლვილებს. ავტორთა ვარაუდით, ეს შეგვექმნის ზუსტ წარმოდგენას დევნილთა მთლიან რიცხოვნობასა და იმ პირთა რაოდენობაზე, რომლებსაც მართლაც უნდათ დაბრუნება. ამ მეთოდის საფუძვლად უდევს დევნილთა რაოდენობით მანიპულირებაზე უარის თქმა, რასაც ხშირად მიმართავენ პოლიტიკურ რიტორიკაში საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე და აფხაზ ხელისუფლებაზე ზეწოლის მოსახდენად. დოკუმენტში გაცნობიერებულია იმის ალბათობა, რომ შეიძლება ზოგიერთმა დევნილმა არ მოისურვოს დაბრუნება, რაც ნაციონალისტებისათვის ტაბუდადებული თემაა. ამრიგად, აქ აშკარად ჩანს გადახვევა ოფიციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად დევნილთა თემით სპეკულირებისაგან და აღებულია გეზი დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნების თანმხლები სიძნელების პრაგმატული გააზრებისაკენ.

კითხვების ბოლო ჯგუფი ეხება ქართველთა შორის გავრცელებულ ერთგვარ შიშს და შემფოთებას აფხაზეთან წარმოებული სამშვიდობო პროცესის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. ალბათ, ამათგან ყველაზე გავრცელებულია შიში, რომ საქართველო ვერ დაიცავს საკუთარ ინტერესებს სამშვიდობო პროცესში რუსეთის ჩარევისაგან. ავტორები ამ კითხვაზე პასუხს აგებენ იმ ფაქტის პრაგმატულ აღიარებაზე, რომ რუსეთის ფაქტორი ვერსად გაქრება და რომ საქართველომ უნდა გამოძებნოს გზა რუსეთთან სამუშაო კავშირების გასავითარებლად. ავტორთა აზრით, დასავლელ სპონსორებზე დაიმედება ვერ

შეცვლის რუსეთთან საქმიან ურთიერთობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ, რესურსთა რაიმე ხელშესახები ბაზის ანდა გავლენიანი დიასპორის გარეშე, საქართველოს გაუჭირდება რუსეთის გავლენის დაბალანსება. მათი შეხედულებით, საქართველოს ერთადერთი მოკავშირე დემოკრატიაა და, ამასთან ერთად, აქტიური დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს შეუძლია მართოს დემოკრატიული საზოგადოება. საქართველოს მიერ გამოყენებულ სტრატეგიას, რომელმაც თავი იჩინა, მაგალითად, ცხინვალის 2004 წლის ზაფხულის მოვლენებში, ავტორები რუსეთის გავლენის მთავარ წყაროდ მიიჩნევენ, რადგანაც იგი აიძულებს ოსებსაც და აფხაზებსაც, რუსეთის მფარველობა ეძიონ. ავტორები არ იზიარებენ იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები რუსეთთან კონფლიქტს წარმოადგენს და ხაზს უსვამენ იმას, რომ ნებისმიერი სამართლიანი გადანყვეტილება აფხაზების და ოსების ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს.

შემდეგი პრობლემა, რომელიც აქ განიხილება, ეს არის მართლმსაჯულების საკითხი. ორივე მხარე სამართალს თავის მხარეზე მოიხზრებს და საკუთარი პოზიციის გამართლებას ცდილობს. ეს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ნებისმიერი მომავალი მოგვარების მცდელობას, მაგრამ როგორც სხვა, წარსულში ერთმანეთთან მეომარი ერების გამოცდილება გვკარნახობს, ასეთი პოზიცია დაუძლეველი სულაც არ არის. მაგალითად, ვინ წარმოიდგენდა, რომ საფრანგეთი და გერმანია, რომელთა შორისაც გასულ საუკუნეში რამოდენიმე დიდი ომი გაიმართა თანმდევი ინტერვენციებით, ოკუპაციით და სადაო ტერიტორიებით, ევროკავშირის მთავარი დამფუძნებელი პარტნიორები გახდებოდნენ. ასეთი მაგალითები ხშირად უნდა გავიხსენოთ, რათა თავი დავაღწიოთ გონებისმიერ ჩიხს, როდესაც საკუთარი კონფლიქტი უნიკალურად, და, ამიტომაც, გადაუჭრელად გვეჩვენება. კონცეფციის ავტორების აზრით, მართლმსაჯულების აღსრულება წინ არ უნდა უსწრებდეს კონფლიქტის მოგვარებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას სტრუქტურა, რომლის მეშვეობით მართლმსაჯულება აღესრულება – ტრიბუნალი, რომლის ლეგიტიმაცია ორივე მხარის მონაწილეობით იქნება განპირობებული. ასეთი მიდგომის პროპაგანდას ავტორები იმ არგუმენტის მოხმობით ცდილობენ, რომ პრაგმატულო-

ბამ უნდა სძლიოს ემოციებს. მაგალითად, მათი მტკიცებით, თუ ქართველები დაიჟინებენ, რომ აფხაზებმა თავიანთი ბრალი უნდა აღიარონ, ამჟამინდელი სიტუაცია იქამდე გაიწელება, სანამ უკან დამბრუნებელი აღარცერთი დევნილი აღარ დარჩება. მავანნი მართლმსაჯულებაზე საუბრისას აბსოლუტური კატეგორიებით ოპერირებენ, კონფლიქტის მოგვარება კი ნიუანსებს უნდა დაეყრდნოს, რათა მხარეებმა ურთიერთსაზიარო პოლიტიკურ ხედვას მიაღწიონ.

ქართული საზოგადოებისაგან კონცეფცია ითხოვს თვითანალიზს და იმის განსაზღვრას, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია: შენი სიმართლე დაამტკიცო, თუ ერთად იცხოვრო. კონცეფციიდან ისიც გამომდინარეობს, რომ საბოლოოდ აფხაზეთი, რომელიც საქართველოს დაუბრუნდება, ის აფხაზეთი არ იქნება, რომელიც ქართველებს ახსოვთ. აფხაზეთის დაბრუნება, როგორც ამას კონცეფცია გვთავაზობს, საქართველოს სრულ გარდაქმნას გულისხმობს. ეს გარდაქმნა მხოლოდ დემოკრატიულ ღირებულებებს და ინსტიტუტებს, ასევე, თავისუფალ დებატებსა და კომპრომისის აუცილებლობის აღიარებას უნდა დაეყრდნოს. საქართველოს პოლიტიკური ხელისუფალნი წარსულში იმ მოტივს ეყრდნობოდნენ, რომ აფხაზეთს „დაიბრუნებდნენ“. წარსულის მოხმობა, რომელიც წავიდა და ველარ დაბრუნდება, ხანმოკლე მიზნებს და ემოციების გაღვივებას ემსახურება და მხოლოდ არჩევნებამდე პოპულარობის მოხვეჭას თუ უწყობს ხელს. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება მოითხოვს უფრო ხანგრძლივადიან ვალდებულებებს ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მიმართ და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გადანახლისებას. აქ განხილულ კონცეფციას სასარგებლო წვლილი შეაქვს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, იწყებს რა დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა.

## **„შერიგების რესურსების“ მონაწილეობა კონცეფციაში და „ხშირად დასმულ შეკითხვებში“**

2003 წლის დასაწყისში „შერიგების რესურსებს“ დაუკავშირდა პოლიტიკურ ანალიტიკოსთა მცირე ჯგუფი (მათგან ზოგი ხელისუფლებასთან უფრო ახლოს იყო, ზოგიც დისტანციას ინარჩუნებდა), რომელსაც კონცეფციის შემუშავება სურდა. „შერიგების რესურსებმა“ (ამ ორგანიზაციას კი კონფლიქტის გარდაქმნის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით) უმაღლეს დონეზე ამგვარი იდეების შემუშავების სარგებელი, რასაც შეეძლო გაემდიდრებინა დისკუსია კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტების თაობაზე. კონცეფციის მონახაზის შექმნის ეტაპზე „შერიგების რესურსებმა“ ავტორებს გარკვეული დახმარება გაუწია, რათა თავიანთი იდეები სამართლისა და კონფლიქტოლოგიის საერთაშორისო ექსპერტებთან შეეჯერებინათ; თუმცა, „შერიგების რესურსებს“ არანაირი მონაწილეობა არ მიუღია კონცეფციის მონახაზის შექმნაში და არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას მის შინაარსზე. როდესაც კონცეფცია დასრულდა, ავტორებმა კვლავ მიმართეს „შერიგების რესურსებს“ შემდგომი დახმარებისათვის, რათა ამ დოკუმენტის პრეზენტაციების სერია გამართულიყო სხვადასხვა აუდიტორიაში, რაც მისი იდეების გამოცდის შესაძლებლობას შექმნიდა. „შერიგების რესურსები“ კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ კვლავ შეძლებს „ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხების“ პუბლიკაციაში დახმარების აღმოჩენას. ეს არ ნიშნავს, რომ „შერიგების რესურსები“ ამით დოკუმენტში მოცემულ იდეებს ადასტურებს, თუმცა მიესალმება მათ პუბლიკაციას, რაც ნაახალისებს დისკუსიას, პირველ რიგში, დევნილთა წრეში და, აგრეთვე, მთლიანად ქართულ საზოგადოებაში.

ორგანიზაციის „Conciliation Resources“ შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ამ ორგანიზაციის ვებ გვერდზე <http://www.c-r.org>.

„შერიგების რესურსების“ პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციას ხელს უწყობს: შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტი, კონფლიქტების აცილების დიდი ბრიტანეთის მთავრობის გლობალური ფონდი, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული ინიციატივა, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვეციის განვითარების საერთაშორისო სააგენტო და ევროპის კომისია.

## პირველი ნაწილი:

### კითხვები კონცეფციის შესახებ

**კითხვა:** ვინ არის კონცეფციის ავტორი და ვის დაკვეთას ასრულებს ის?

**პასუხი:** „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია“ დაწერილია დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. სამწუხაროდ, 15 წელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით რეალურად არანაირი დოკუმენტი არ შექმნილა. საქართველოს შვიდმა მოქალაქემ ჩათვალა, რომ დრო ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მუშაობდა და განიზრახა დოკუმენტის შექმნა. და ერთწლიანი მუშაობის შემდეგ მათ საზოგადოებას შესთავაზეს ქვეყნის მონყობის საკუთარი ხედვა, რომელიც გამოქვეყნეს და საჯარო განხილვის საგნად აქციეს. ისინი თვლიან, რომ ეს დოკუმენტი არა არის და ვერ იქნება სრულყოფილი და დასრულებული. მას შეიძლება დაემატოს ან მოაკლდეს ესა თუ ის პოზიცია. შეიძლება, საერთოთ უარყოფილ იქნეს მთლიანად მთელი დოკუმენტიც კი, ან საბოლოოდ, სულ სხვა სახე მიიღოს. დარწმუნებული ვართ, რომ საბოლოო ტექსტი, რომელიც მოწონებული იქნება ქართული საზოგადოების მიერ, აუცილებლად სახეშეცვლილი და უფრო დახვეწილი იქნება. ეს პრინციპებზე დამყარებული დოკუმენტია და არა სხვადასხვა კონცეფციიდან ამოკრებილი ლამაზი ფრაზები ან სხვა კონცეფციების წინააღმდეგ შექმნილი თხზულება. იგი დაწერილია მხოლოდ აფხაზეთის კონტექსტში, კონკრეტულად აფხაზეთზე – და არა აჭარის, ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმართ<sup>1</sup>. როგორც ითქვა, ეს დოკუმენტი ერთი წლის განმავლობაში იწერებოდა, თუმცა მასში ჩადებული იყო სამწლიანი გამოცდილება აფხაზურ მხარესთან ინტენსიური ურთიერთობისა. ჩვენი ამოცანა იყო, შეგვექმნა

---

<sup>1</sup> შემდეგ, ზოგიერთ ჩვენთაგანს შემოგვთავაზეს დაგვეწერა ამგვარივე კონცეფცია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვისაც, მაგრამ ჩვენგან პასუხი იყო უარყოფითი, ვინაიდან ამ ჯგუფში არ იყვნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე პროცესების ზედმინევენით მცოდნე ადამიანები.

ისეთი დოკუმენტი და საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა ისეთი წინადადებები, რაზეც აფხაზურ საზოგადოებას ცალსახად უარის თქმა გაუჭირდებოდა. ჩვენ გვესმის, თუ რა დაძაბულობა შეიძლება გამოიწვიოს ამ დოკუმენტმა, პირველ რიგში, ქართულ საზოგადოებაში, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ხელისუფლებას მის რეალიზაციაში. ამიტომ ხელისუფლებას ვთავაზობთ ჩვენს მოსაზრებებს არსებულ საკითხზე. ხელისუფლებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ის, ან როგორი სახით მიიღოს.

დოკუმენტი მომზადებულია ქართველ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში არიან: კონსტანტინე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, ივლიანე ხაინდრავა და პაატა ზაქარეიშვილი. მის მომზადებაში არგუმენტირებული შენიშვნებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დავით ბაქრაძემ, თინათინ ხიდაშელმა და დავით დარჩიაშვილმა, აგრეთვე, საქვეყნოდ ცნობილმა და აღიარებულმა მეცნიერებმა: პროფესორმა თომას ფლაინერმა (ფრაიბურგი, შვეიცარია) და პროფესორმა ალექსანდრე ბლანკენაგელმა (ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია).

**კითხვა:** ეს დოკუმენტი საბოლოოა? სახელმწიფომ უკვე მიიღო იგი?

**პასუხი:** „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია“, პირველ რიგში, პოლიტიკური დოკუმენტია და არა იურიდიული, თუმცა იურიდიულად გამართულია და სახელმწიფოს ფედერალური მონაცემების საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. ეს არ არის ხელისუფლების მიერ მიღებული დოკუმენტი. საქართველოს სახელმწიფოს ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიცია არ გამოუხატავს და არც საფუძვლად აუღია თავისი ოფიციალური განცხადებისათვის თუ პოლიტიკის განსახორციელებლად. ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ ამ დოკუმენტს განსახილველად.

გარდა ამისა, „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია“ იძლევა საშუალებას, დავინყოთ მსჯელობა აფხაზეთზე და აფხაზეთთან, გავმართოთ მათთან დიალოგი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდ-

ნას, თუ რას ფიქრობს საზოგადოების ესა თუ ის წევრი. მოლაპარაკებების პროცესი უკვე ათ წელზე მეტია გრძელდება და ორივე მხრიდან მხოლოდ ლოზუნგების დეკლარირებით შემოიფარგლება: აფხაზური მხარე დამოუკიდებლობას მოითხოვს, საქართველო კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. დიდი მიღწევა იქნება, თუ ეს მოლაპარაკებები ამ პოზიციებს გასცდება და ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებების შესახებ წარიმართება.

**კითხვა:** გადაეცით თუ არა ეს ტექსტი აფხაზებს?

**პასუხი:** ტექსტი გავრცელებულია ინტერნეტით. გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათსა“ და „Анхазский меридиан“-ში.

**კითხვა:** თქვენ აფხაზების გულის მოგება გინდათ? ეს დოკუმენტიც ამიტომ არის დაწერილი?

**პასუხი:** „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფცია“ არ არის მხოლოდ აფხაზური საზოგადოებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ის ქართული საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი. ჩვენ კარგად უნდა ჩამოვაცალიბოთ ჩვენი თვალსაზრისი – როგორ ვაპირებთ აფხაზეთის დაბრუნებას, გვესმის თუ არა აფხაზების, ვხედავთ თუ არა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, შესაბამის პოლიტიკას ვთავაზობთ თუ არა მათ. ამ დოკუმენტის არსი დისკუსიის დაწყებაშია. ეს არის კონცეფცია, რომელიც, როგორც ვალდებულება, ისე კი არ უნდა მიიღოთ, არამედ, როგორც თვალსაზრისი, რომელზეც მუშაობა, თქვენი აზრის ჩადება და მსჯელობა შეიძლება. ეს დოკუმენტი სჭირდებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც უნდათ, რომ დაგვეხმარონ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, იმისათვის, რომ დაიწყონ ლაპარაკი აფხაზეთთან. მათ სურთ, დაარწმუნონ აფხაზები, რომ საქართველო უკვე სთავაზობს მათ კონკრეტულ წინადადებებს და სჯობს, ისინი განხილულ იქნეს, ვინაიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია, ხოლო აფხაზეთის აღიარება არ მოხდება მანამ, სანამ ის საქართველოს შემადგენლობაში არ აღდგება.

მეორე ადრესატი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს რუსეთი. ამ ტიპის დოკუმენტით, რა თქმა უნდა, რუსეთს ვერ გავაჩუმებთ –



მას თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს – მაგრამ შევძლებთ მაქსიმალურად გავანეიტრალოთ მისი უარყოფითი ზემოქმედება. რუსეთი ვერასდროს შესთავაზებს თავის ფედერაციის სუბიექტებს იმას, რასაც ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ ამ კონცეფციით. აფხაზეთს საქართველოში უფრო დიდი უპირატესობა ენიჭება, ვიდრე ნებისმიერ რეგიონს რუსეთში. ამ დოკუმენტით ჩვენ აფხაზების ყველა მოკავშირის პოზიციები უნდა შევარყიოთ.

აფხაზური საზოგადოება ყველაზე ბოლო ადრესატია. რა არგუმენტებს დაუპირისპირებენ აფხაზები ამ კონცეფციას, თუ ისინი უარს იტყვიან მასზე? ასეთ კითხვას დასვამს ყველა, მათ შორის რუსეთიც და, პირველ რიგში, უცხოელები. როცა დასავლეთი ამ ან ამ ტიპის დოკუმენტს დაუდგება გვერდში, როცა რუსეთი ამ ტიპის დოკუმენტს პირდაპირ ვერ უარყოფს, როცა ეს იქნება საერთო ქართული კონსენსუსის შედეგი და ქართული ხელისუფლების მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია, აფხაზებს, რა თქმა უნდა, რჩებათ უარის თქმის საშუალება, მაგრამ ეს არგუმენტირებული უარი უნდა იყოს. დღეს ძალიან კარგი სიტუაცია შეიქმნა საქართველოში. ხელისუფლება შეიცვალა. ძველი ვერაფერს ვეღარ აკეთებდა. ამ დროს, ახალი მოვიდა და აფხაზებს კონკრეტულ კონცეფციას სთავაზობს. ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ აფხაზებს, რომ ის საქართველო არც ჩვენ მოგვწონდა. ის საქართველო ჩვენვე უარგყავით. ქართველმა ხალხმა ის ხელისუფლება კანონით რომ ვერ გაისტუმრა, ძალდატანებით გააკეთა ეს. იმ ხელისუფლებასთან ჩვენ თვითონ გვაქვს უფრო მეტი პრეტენზიები, ვიდრე აფხაზებს. ამ ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, თქვას, რომ ის აფხაზურ მხარეს სხვა საქართველოს, სხვა ურთიერთობებს სთავაზობს.

**კითხვა:** თქვენ თვლით, რომ ამგვარი დოკუმენტით შეიძლება ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენა?

**პასუხი:** მხოლოდ წერილობითი დოკუმენტით ასეთი ნდობა არ აღსდგება და ამას არც არავინ ფიქრობს. მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარება, რომ იგი პასუხისმგებელია ყოველივეზე, რაც მოხდა აფხაზეთში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ეს იყო საქართველოს სახელმწიფოს სერიოზული შეცდომა. საქართველოს სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ასე არ უნდა მოექ-

ცეს, გნებავთ – დევნილებს და გნებავთ – აფხაზებს, რომლებიც იყვნენ და არიან ჩვენი მოქალაქენი. ხელისუფლებამ უნდა გადადგას პრინციპული ნაბიჯები და შეცდომები აღიაროს. ეს იქნება პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რომ იყო ომი, მაგრამ ამიერიდან მას აღარ დაუშვებს.

არ შეიძლება მარტო აფხაზურ მხარეს დავაბრალოთ ყველაფერი. მათი მხარის პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ, როცა ლაპარაკია შეცდომების აღიარებაზე, ეს პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა აღიაროს. ცნობილი ფაქტია, რომ გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი ვარშავაში ჩავიდა და მუხლი მოიყარა დახოცილი ებრაელების საფლავზე. ეს დიდი სახელმწიფოებრივი ჟესტი იმის დადასტურება იყო, რომ სახელმწიფო აღიარებს დანაშაულს. ნდობის აღდგენას ყველაზე მეტად ასეთი ნაბიჯები შეუწყობს ხელს.

**კითხვა:** გამოქვეყნებულია დოკუმენტის მხოლოდ ერთი ნაწილი. რატომ არ აქვეყნებთ დანარჩენ ნაწილებს? სად შეიძლება მათი მოძიება?

**პასუხი:** ჩვენ გამოვაქვეყნეთ მხოლოდ ბოლო, ძირითადი ნაწილი. ჯგუფის წევრებმა მიზანშეუწონლად მიიჩნიეს დანარჩენი ნაწილების გამოქვეყნება. პირველი ოთხი ნაწილი განკუთვნილია ხელისუფლებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, მათ გაუჩნდებათ სურვილი მათი გაცნობისა. ვისაც აინტერესებს, შეგვიძლია გავაცნოთ დანარჩენი ნაწილებიც.

## მეორე ნაწილი:

### კითხვები აფხაზეთის სტატუსის შესახებ

**კითხვა:** როგორ არის განსაზღვრული ამ დოკუმენტში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი?

**პასუხი:** კონცეფციის ძირითადი პრინციპი ფედერალურ ურთიერთობებსა და სახელმწიფოს ფედერალურ მოდელს ემყარება. ამ მოდელის მიხედვით, საქართველო ფედერაციული სახელმწიფოა და მის შემადგელობაში არიან ფედერაციის წევრ-სუბიექტები, ამ შემთხვევაში – აფხაზეთი. აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ფედერაციის წევრ-სუბიექტია.

დღემდე საქართველოში ამგვარი სტატუსის მქონე რეგიონი არ ყოფილა. მაგალითად, აჭარის შესახებ კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, განსაზღვრულია მისი სტატუსი. ფორმალური მახასიათებლებით თუ მივუდგებით, აჭარა დღეს ფედერაციის სუბიექტია, მაგრამ ძალიან სუსტი და საეჭვო უფლებამოსილებებით. მისი სტატუსი დაკნინებულია, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ყველა ის ნიშანი ახასიათებს, რაც ფედერაციის წევრ-სუბიექტებს აქვთ ხოლმე.

ჩვენს კონცეფციაში წარმოდგენილია გაცილებით მაღალი უფლებამოსილებების მქონე სუბიექტი – აფხაზეთი, რომელიც, ბუნებრივია, ფედერაციის შემადგენლობაშია. ხშირად ამგვარ ურთიერთობებს ორსუბიექტიან ფედერაციასაც უწოდებენ. ამგვარი ორსუბიექტიანობა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის საერთო ნების გამოხატვას ეყრდნობა, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა სტრუქტურები ეფუძნება. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კონცეფციაში იურიდიულ ორსუბიექტიან ფედერაციაზე ლაპარაკი არ არის. ის ორსუბიექტიანი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი აფხაზეთი ერთი სუბიექტი იქნებოდა, დანარჩენი საქართველო კი თანაბარუფლებიანი მეორე სუბიექტი; თითოეულ მათგანს ექნებოდა საკუთარი პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო და ორივე სუბიექტიდან მოსახლეობა ცალცალკე აირჩევდა საერთო – ფედერალურ პარლამენტს. სწორედ ამგვარი მოდელი შესთავაზა გაერომ კვიპროსს.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ჩვენთან წარმოდგენილია საქართველოს ფედერაციული სახელმწიფო და მის შემადგელობაში შემავალი აფხაზეთის ფედერაციული ერთეული.

რაში გამოიხატება აფხაზეთის განსაკუთრებულობა? პირველ რიგში იმაში, რომ მისი, როგორც ფედერაციის სუბიექტი ერთეულის, არსებობა და სტატუსი ფედერალური ხელისუფლების ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული. მას აქვს საკუთარი ლეგიტიმურობა, ანუ ხელისუფლების შექმნის საკუთარი წყაროები.

გარდა ამისა, აფხაზეთს აქვს სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორცაა: საკუთარი ტერიტორია, საკუთარი მოსახლეობა, რომელიც ირჩევს ხელისუფლებას, და საკუთარი უფლებამოსილებები, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს ამ ტერიტორიაზე.

ყველა ეს ნიშანი აფხაზეთს აქვს. და ის ხალხი, რომელიც იქ ცხოვრობს, ირჩევს თავის ხელისუფლებას. მაგრამ ფედერაციის წევრ-სუბიექტი იმითაა შეზღუდული, რომ იგი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას აქვს სუვერენიტეტი, მაგრამ მნიშვნელოვნად შეზღუდული, იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზეთი ერთი მთლიანის წევრ-სუბიექტია და, შესაბამისად, არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი ერთეული.

ნებისმიერ ფედერაციულ სახელმწიფოში მის შემადგენელ სუბიექტებს აქვთ გარკვეული სტატუსი. სამართლის თეორიის მიხედვით, ყველგან აღიარებულია, რომ ფედერაციის სუბიექტებია სახელმწიფოს ნიშნების მქონე წარმონაქმნები – ერთეულები, მაგრამ ისინი სარგებლობენ შეზღუდული სუვერენიტეტით, რადგან ფედერაციის შემადგენლობაში არიან და ჩვეულებრივ სახელმწიფოსთან მათი გაიგივება არ შეიძლება.

დაბოლოს, რით განსხვავდება ამგვარი ფედერაცია კონფედერაციისაგან?

ეს კონცეფცია – ფედერაციული სახელმწიფო მოწყობის მოდელია, მაგრამ კონფედერაციული სახელმწიფოს გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავს. თუმცა ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს ელემენტები ხელს არ უშლის და საფრთხეს არ უქმნის სახელმწიფოს ერთიანობას. კონფედერაციული მოწყობის დიდი გამოცდილება მსოფლიოს არა აქვს. იყო ამგვარი სახელმწი-

ფოების რამოდენიმე მაგალითი, რომლებმაც მოკლე ვადებში არსებობა შეწყვიტეს. კონფედერაციის მახასიათებელია ისეთი სტრუქტურული მოწყობა, როდესაც რამოდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ან რამოდენიმე სახელმწიფოებრივი ერთეულის მთავრობები დებენ ხელშეკრულებას საერთო სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნაზე. ანუ კონფედერაცია დაფუძნებულია მისი შემადგენელი ერთეულების მთავრობათა ხელშეკრულებაზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ერთ-ერთმა მისმა ერთეულმა თავისი ხელმოწერა ამგვარ ხელშეკრულებაზე უკან წაიღოს და კონფედერაციიდან, ანუ სახელმწიფოთა კავშირიდან გამოვიდეს. შესაბამისად, კონფედერაცია არ არის ისეთი მტკიცე კავშირი, როგორც ფედერაციაა. და მათი განმასხვავებელი ნიშანიც სწორედ ის არის, რომ ფედერაცია დაფუძნებულია არა მისი შემადგენელი წევრ-სუბიექტების მთავრობათა ხელშეკრულებაზე, არამედ ხალხის ნებაზე. ფედერაცია იქმნება ხალხის კონსტიტუციური ძალაუფლებით. ხალხი რეფერენდუმზე ან არჩევნებზე აძლევს ხმას, ირჩევს ხელისუფლებას. სწორედ ეს არის ხალხის სუვერენიტეტი. ხელისუფლების წყარო ხალხია და, შესაბამისად, ის ქმნის სახელმწიფოს. ბუნებრივია, მოსახლეობა საკუთარ სუვერენიტეტს ფედერაციის სუბიექტებშიც იმკვიდრებს არჩევნების გზით, როდესაც, მაგალითად, ის ადგილობრივ ხელისუფლებას ირჩევს, მაგრამ ეს სამართლებრივი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ შემდეგ ფედერაციის თითოეულმა წევრ-სუბიექტმა მოითხოვოს და გავიდეს ფედერაციიდან. ფედერაციის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი კონფედერაციისაგან ისიცაა, რომ ფედერაციაში სრულიად დაუშვებელია ნებისმიერი საკითხის დაყენება გამოყოფის თაობაზე. ასეთი ინიციატივა ყველგან და ყოველთვის კონსტიტუციის დარღვევად ითვლება. კონფედერაციაში ეს დაშვებულია მისი შექმნის წესიდან გამომდინარე. სწორედ ამ ძირითად პრინციპს ეფუძნება ჩვენი კონცეფცია ფედერაციასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთი არის ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ლეგიტიმაციის საკუთარი წყაროებითა და განსაკუთრებული უფლებამოსილებებით. ისევე, როგორც ყველა ფედერაციულ სახელმწიფოში, საქართველოშიც აუცილებელია ფედერაციასა და მის

წევრ-სუბიექტს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა. ჩვენს კონცეფციაში ეს მკაფიოდაა გამოხატული იმ სფეროებში, რომლებშიც აფხაზეთს ან ფედერაციულ სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენცია აქვთ. საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის ის მხარე იღებს, რომელსაც ეს კომპეტენცია აქვს. მაგალითად, თუკი განათლება, მეცნიერება და კულტურა აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოების განსაკუთრებულ კომპეტენციას იქნება მიკუთვნებული, ამ სფეროებში სწორედ ისინი მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. მათი შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს ექნებათ უმაღლესი იურიდიული ძალა თვით საქართველოს პარლამენტის – ფედერაციული პარლამენტის მიერ ამ კონკრეტულ სფეროში მიღებული რომელიმე აქტის მიმართ. მაგალითად, გერმანიაში სხვაგვარადაა. გერმანია ფედერაციული ქვეყანაა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ეს ფედერაცია ნელ-ნელა უნიტარულ სახელმწიფოს დაემსგავსა. ამ თვალსაზრისით ფედერაციის სუბიექტები ძალიან შეზღუდულნი არიან, როგორც გინდა იყოს აქტი. მაგალითად, ბავარიის პარლამენტმა რომ საკანონმდებლო აქტი მიიღოს, მას ყოველთვის უფრო ნაკლები იურიდიული ძალა ექნება, ვიდრე ფედერაციის რომელიმე მინისტრის მიერ მიღებულ ბრძანებას. ანუ ფედერაციული სამართლის ნორმები ყოველთვის უპირატესობას ინარჩუნებს. იგივე ითქმის ბავარიის კონსტიტუციის მიმართაც. ასეთი იერარქიული ურთიერთმიმართებაა გერმანიაში. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთან უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შევჩერებულიყავით ფედერაციული მონყობის მეორე ვარიანტზე, რომელიც ფედერაციული სახელმწიფოების უმრავლესობაში დომინირებს და სუბიექტების რეალურ ავტონომიასა და საკუთარ გამგებლობაში არსებული საქმეების ადგილზე გადაწყვეტას გულისხმობს. ფედერაციას მიკუთვნებული აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილებები სფეროებში, რომლებიც აუცილებელია ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს მართვის, შიდა ინტეგრაციისა და საზღვრების ერთიანობის შენარჩუნებისათვის. ამ სფეროებში ყველა გადაწყვეტილებას იღებს ფედერაცია და არცერთ ერთეულს (მათ შორის არც აფხაზეთის ფედერაციული სუბიექტს) არ ექნება მათგან გადახვევის ან მათი დარღვევის უფლება. დავის წარმოშობის შემთხვევაში (კომპეტენციათა შორის დავა), საბოლოო გა-

დანყვეტილებას იღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ანუ ფედერაციასა და მის შემადგენელ სუბიექტს შორის უფლებამოსილებათა შესახებ დავას ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია გადაწყვეტს.

შევაჯამოთ ჩვენი საუბრის ეს ნაწილი:

ჩვენ გთავაზობთ ასეთ ვარიანტს: ფედერაციის სამართლის ნორმებს უმაღლესი იურიდიული ძალა მის განსაკუთრებულ სფეროებში ექნება. ეს განსაკუთრებული სფეროებია: საზღვრების დაცვა, თავდაცვა, სახელმწიფო უშიშროება, ფულის მოჭრა (ემისია), და ა.შ., ანუ ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის – ფუნქციონირებისათვის.

**კითხვა:** რას ნიშნავს დამოუკიდებელი და თავისუფალი პარტნიორული უფლებები?

**პასუხი:** სუბიექტი ფედერალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი პარტნიორია. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს სახელმწიფოს ნიშნები. ამ დამოუკიდებლობასა და თანასწორუფლებიანობაში სწორედ ეს იგულისხმება. ანუ იგულისხმება, რომ აფხაზეთის არსებობა არ არის დამოკიდებული ფედერაციის ნებაზე. ფედერაცია მას ცალმხრივად ვერ გააუქმებს. ის არსებობს და მას ფედერაციასთან აქვს დამოუკიდებელი ურთიერთობა, რომელიც ფედერალური შეთანხმებითაა განსაზღვრული. ფედერალური შეთანხმება შემდეგ კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი ხდება და ეს შეთანხმება მიღწეული იქნება ორივე მხარის მიერ.

სწორედ ამ პირობების არსებობის შემთხვევაში და მის ფარგლებში არის ის დამოუკიდებელი პარტნიორი ერთობლივი შეთანხმებით მინიჭებული კომპეტენციით. ჩვენ შეგვეძლო ჩაგვეწერა – „კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი რედაქციით აფხაზეთი მხარისათვის უფრო მიმზიდველი უნდა იყოს. შინაარსი ამით არ იცვლება. დოკუმენტში კონკრეტულად წერია, რომ – „აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული ფედერალური შეთანხმებით დადგენილ ფარგლებში“. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. კიდევ უფრო ნათელი რომ გახდეს ჩვენი პოზიცია, უნდა ვთქვათ, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტი არ ნიშნავს იმას, რაც აქვს სა-

ქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოს, ანუ – საქართველო არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არის გაეროს წევრი და არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, აფხაზეთის სუვერენიტეტი კი შეიძლება ითქვას – „საშინაო“ სუვერენიტეტი.

ჩვენ ვთავაზობთ მოდელს, რომლის მიხედვითაც ჩვენი სახელმწიფო ფედერაციაა, აფხაზეთის სტატუსი კი, როგორც წევრ-სახელმწიფოსი, არაფრით ემუქრება საერთო ფედერაციული სახელმწიფოს ერთიანობას.

**კითხვა:** რატომ აირჩიეთ ფედერაცია და არა კონფედერაცია?  
**პასუხი:** ფედერაციული სახელმწიფოები შედეგება წევრი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან. თუ საქართველო გადადის ფედერაციულ სახელმწიფო მონყობაზე, ის გადადის იმ სტანდარტებსა და პრინციპებზე, რაც დღევანდელ მსოფლიოშია მიღებული. ჩვენ რაც უნდა განსხვავებულნი ვიყოთ, ეს პრინციპები ერთია ყველასათვის. ამჟამად დედამიწაზე არ არსებობს კონფედერაციული სახელმწიფო. თეორიულად, კონფედერაციულ ქვეყანაში შეიძლება იყოს ორი სუბიექტი, რომელიც დებს ხელშეკრულებას და ქმნის ქვეყნის მართვის ორგანოებს. როგორც კი ერთ-ერთი ხელმომწერი პირობებს დაარღვევს, მეორეს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. ფედერაციულ სახელმწიფოში ეს გამორიცხებულია, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, ნებისმიერი სუბიექტი ერთიანი სახელმწიფოს ნაწილია და არსებობს ფედერალური სახელმწიფოს მიერ მინიჭებული დამოუკიდებლობის ფარგლებში. ფედერაციული ქვეყნების განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ, რაც უფრო მეტი დამოუკიდებლობა ეძლევათ ერთეულებს, მით უფრო მშვიდი და მდგრადია კავშირი. ანუ ყველაზე კარგი და ეფექტური სიტყვა „ავტონომია“ იქნებოდა, მაგრამ აფხაზეთისთვის ამ სიტყვას მისტიური და მითიური დატვირთვა აქვს და მას პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში ვერ განიხილავენ.

ავტონომია ნიშნავს იმას, რომ ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. ამას ვთავაზობთ არა აფხაზეტს, არამედ აფხაზეთის მთელ მოსახლეობას. ეს არ არის აფხაზეტის დამოუკიდებლობის ფორმა. ეს არის აფხაზეთში მცხოვრები ხალხის დამოუკიდებლობის ფორმა.



**კითხვა:** რამდენად გამოსადეგია ფედერაციული მონყობა პატარა ქვეყნისათვის?

**პასუხი:** ფედერალიზმი არ არის დიდი ან პატარა ქვეყნების მონაპოვარი. ფედერალიზმი სახელმწიფო მონყობის ფორმაა. ამიტომ, თუ ჩვენთვის საჭიროა ფედერალიზმი, თუ ის დაგვეხმარება ჩვენი პრობლემების მოგვარებაში – უნდა მივიღოთ. თუ არ დაგვეხმარება – არ უნდა მივიღოთ. ფედერალიზმი, ანუ მისი ადრეული ფორმა – რეგიონალიზმი, დიდი ხანია არსებობს ჩვენს ცნობიერებაში. საქართველოში ყოველთვის არსებობდა სახელმწიფოს რეგიონალური მონყობის ხედვა. მაგალითად, სოფ. მარანი რომ იმერეთს მიაკუთვნონ, ან სამტრედია – სამეგრელოს, დიდ გაუგებრობასა და წინააღმდეგობას გამოიწვევს. ბევრ ქვეყანაში ისე შეიძლება გადააკეთო ყველაფერი, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდეს, რადგან რეგიონალიზმი არ არის იმ ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების წესი. რეგიონალური აზროვნება ჩვენი ისტორიული აზროვნების ორგანული ნაწილია. უბრალოდ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. ამის მშვენიერი მაგალითია დუტუ მეგრელის ლექსის ცნობილი მონაკვეთი „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“. ეს ლექსი ყველა ქართველმა ბავშვობიდან ზეპირად იცის. ქართველი ერისათვის ფედერაციული მოდელის სწორად აღქმა ამ მოდელის პერსპექტივებს ცხადად წარმოაჩენს.

ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ პოზიციიდან, რომ აფხაზეთში არსებული სიტუაცია საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს არსებითად აზარალებს და მისი მოგვარება გვეჭირდება იმისათვის, რომ ეს ზარალი მინიმუმამდე დავიყვანოთ. თუ ჩვენ გვინდა დავიბრუნოთ აფხაზეთი, საჭიროა მეტი ყურადღება, ვიდრე ეს, მაგალითად, კახეთს სჭირდება. ისეთი უნიტარული სახელმწიფოს პარლამენტმა, როგორც იტალიაა, არც ისე დიდი ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყო გადასვლა ფედერაციული მონყობის მოდელზე, რადგან ასე უფრო წარმატებულია ქვეყნის მართვა. რაც უფრო მეტ უფლებამოსილებას გადასცემს ცენტრი ადგილებზე, მით უფრო ეფექტურად იმართება სახელმწიფო.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გვინდა იყოს ერთიანი მმართველობა და არანაირი ტერიტორიული დანაწილება არ არსებობ-

დეს. რა დიდი სურვილიც არ უნდა გვექონდეს ამისა, დღეს ეს უკვე აღარ გამოვა ახლო წარსულში განვითარებული მოვლენების გამო და კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენი კონკრეტული ისტორიული გამოცდილება სხვა რამეს გვიკარნახებს.

ფუნდამენტური განსხვავება, რაც აფხაზეთსა და საქართველოს ფედერაციის სხვა სუბიექტებს შორის იქნება, ის არის, რომ აფხაზეთის ხელისუფლების, აფხაზეთის მოსახლეობის ნების გამოხატვის გარეშე მხოლოდ ფედერალური პარლამენტი გადანყვეტილებას ვერ მიიღებს იმის შესახებ, რომ ფედერალურ შეთანხმებაში ცვლილება შეიტანოს. სწორედ ამიტომ, აფხაზებს არ უნდა შეეშინდეთ ასეთი შეთანხმებისა. სამართლებრივი გარანტია სწორედ ის არის, რომ აფხაზებს ეცოდინებათ – საქართველოს ფედერაციული პარლამენტი დამოუკიდებლად ვერ მიიღებს გადანყვეტილებას შეთანხმების და სტატუსის პირობების შეცვლის შესახებ, ამგვარ გადანყვეტილებას იურიდიული ძალა არ ექნება, თუ მას აფხაზეთის შესაბამისი ორგანო არ დაეთანხმება.

## მისამე ნაწილი:

### კითხვები ფედერალურ დანესებულებებზე

**კითხვა:** როგორ დაკომპლექტდება აფხაზეთის პარლამენტი? რა პრინციპით მოხდება კვოტირება?

**პასუხი:** ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ისეთი სისტემა, რომლითაც აფხაზებს, რომლებიც თავის სამშობლოში შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თანაბრად უმრავლესობისა, აფხაზეთის პოლიტიკური საკითხების გადანყვეტის საშუალება ექნებათ. ანუ მათ ექნებათ ხმა პარლამენტში და ეს ისეთი ხმა იქნება, რომ მხოლოდ უმრავლესობამ არ გადანყვეტოს მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები. ამისათვის ჩვენ ვთავაზობთ ისეთ სისტემას, რომ აფხაზ მოსახლეობას ჰყავდეს იმავე რაოდენობის წარმომადგენლობა პარლამენტში, რაც დანარჩენ მოსახლეობას. ამ შემთხვევაში აუცილებელია ერთიანი, შეჯერებული გადანყვეტილების მიღება. ეს არ არის 28-26-11 სისტემა, რომელმაც ვერ მოახერხა კონფლიქტის ესკალაციის შეჩერება. ჩვენი პრინციპი ეთნიკურ კომპონენტზე არ არის დაფუძნებული და თუკი პრობლემები მაინც წარმოიშვება, შეიძლება სხვა რამ მოვიფიქროთ. სხვა ვარიანტებიც არსებობს.

ჩვენ ასეთ სქემას ვვარაუდობთ: აფხაზეთის ყოველი რაიონიდან პარლამენტში არჩეული იყოს დეპუტატების ერთიდაიგივე რაოდენობა. უთანასწორობა მდგომარეობს იმაში, რომ გალი, სადაც 80 ათასი მცხოვრებია, და გუდაუთა, სადაც 30 ათასია, ორივე ირჩევს დეპუტატების ერთსა და იმავე რაოდენობას – მაგალითად, 3-3 დეპუტატს. ამ სისტემით ჩვენ მივიღებთ პარლამენტში ისეთ წარმომადგენლობას, როცა შეიძლება ქართველები მაინც უმრავლესობა იყვნენ, მაგრამ აფხაზები არ იქნებიან უუნარო უმცირესობაში. ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, რომ ორივე მხარეს გადანყვეტილების მისაღებად ყოველთვის დასჭირდება მეორე მხარესთან შეთანხმება. ჩვენ არ გუნვაზღვრავთ, რამდენი აფხაზი უნდა იყოს და რამდენი ქართველი. გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზეთიდან შემდეგ აირჩევა დეპუტაცია საქართველოს პარლამენტში. შეიძლება იყოს არაუმცირეს პარლამენტის თხუთმეტი წევრისა. იმ თხუთ-

მეტ დეპუტატში, სავარაუდოდ, 5-6 ხომ მაინც იქნება აფხაზი. ვთქვათ, საქართველოს პარლამენტმა გადანაცვლები უნდა მიიღოს 2/3-ის უმრავლესობით. იმავდროულად, საჭირო იქნება იმ 15 პარლამენტის წევრის 2/3-ის უმრავლესობაც. ფაქტობრივად, იმ 15 კაცში (აფხაზეთის დეპუტატიაში), თუ 2/3 არ იქნა თანახმა, გადანაცვლები ვერ გავა. ეს გარანტია არის არა მხოლოდ აფხაზეთისათვის, არამედ, ზოგადად, აფხაზეთისთვის.

**კითხვა:** აფხაზეთის პრეზიდენტი მხოლოდ აფხაზი რატომ უნდა იყოს?

**პასუხი:** კონცეფციის ავტორები ვფიქრობთ, რომ ყველაზე უკეთესი იქნება, თუ აფხაზეთი საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება. ეს ნიშნავს, რომ იქნება არჩეული პარლამენტი, არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი და არა პრეზიდენტი.

არის მეორე ვარიანტიც. გავიხსენოთ, რომ ფედერალური შეთანხმების დადება თავისთავად გულისხმობს, რომ დევნილები უკვე დაბრუნებულნი არიან, ან, სულ ცოტა, პროცესი დაწყებულია და აქტიურ ფაზაშია. შეიძლება აფხაზეთმა მოლაპარაკებისას თქვან, რომ აუცილებელია არჩეული პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში ჩვენ დემოკრატიულ, ჩვეულებრივ არჩევნებს ვთავაზობთ. შესაბამისად, ეს იქნება პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს ხალხი და მისი ეროვნება არ იქნება წინასწარ დადგენილი.

მესამე ვარიანტი. ეს არის არაპირდაპირ არჩეული პრეზიდენტი. ანუ ხალხი კი არ ირჩევს პრეზიდენტს, არამედ პარლამენტი. არაპირდაპირ არჩეულ პრეზიდენტს არა აქვს რეალური უფლებამოსილებები. მას არა აქვს ვეტოს უფლება და ძირითადად ცერემონიალური ფიგურაა აფხაზეთის წარმოსადგენად. თუკი ამ ვარიანტზე მოხდება შეთანხმება, ჩვენ შევთავაზებდით, რომ ასეთი პრეზიდენტი წარმოშობით ეთნიკური აფხაზი იყოს. ეს პირობა, პირველ ეტაპზე, გარკვეულ გარანტიებს მისცემდა აფხაზებს თავიანთი პოლიტიკური ინტერესების დასაცავად. თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ეს პოზიცია გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, თავის თავს თვითონ ამოწურავს და ანაქრონიზმად იქცევა.

**კითხვა:** როგორ არის კონცეფციაში გადანაცვლებული მოქალაქეობის საკითხი, კერძოდ კი, აფხაზეთის მოქალაქეობისა?

**პასუხი:** ფედერაციულ სახელმწიფოებში უნდა არსებობდეს მხოლოდ ფედერაციის მოქალაქეობა, ანუ საქართველოს მოქალაქეობა. ჩვენს ვარიანტში ასეთი კლასიკური მოდელიდან, ისევე გარანტიის შექმნის მიზნით, გვაქვს მცირედი გადახვევა და ვამბობთ: აფხაზეთში ვინც იცხოვრებს, მას ექნება აფხაზეთის მოქალაქეობა; მაგრამ, იმავდროულად და ავტომატურად, ის არის ფედერაციის მოქალაქეც. ანუ აფხაზეთის მცხოვრებს აქვს პირადობის მონაწილეობა, რომელშიც წერია, რომ ის არის აფხაზეთის მოქალაქე, მაგრამ, როცა უცხოეთთან ექნება ურთიერთობა, ის იღებს საქართველოს ფედერაციის მოქალაქის პასპორტს, რომელშიც შეიძლება ქართულად და აფხაზურად ეწეროს, რომ ის საქართველოს ფედერაციის მოქალაქეა. სხვა ვარიანტით, საქართველოს ფედერაციის მოქალაქის პასპორტში შეიძლება აფხაზურად ჩაწეროთ, რომ ის ფედერაციის მოქალაქე, და იმავდროულად, აფხაზეთის მოქალაქეა. ერთადერთი განსხვავება საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ მოქალაქეთაგან ის იქნება, რომ მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებთ ექნებათ აფხაზეთის პარლამენტის არჩევის უფლება. საარჩევნო უფლებამოსილება ექნება მხოლოდ მას, ვინც მუდმივად ცხოვრობს აფხაზეთში და აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა. ეს იქნება ერთადერთი განსხვავება ფედერაციული სახელმწიფოს დანარჩენ მოქალაქეთაგან. ამით, გარკვეულწილად, შემოგვაქვს ორჯერადი (და არა ორმაგი) მოქალაქეობის ცნება.

თავისუფალი მიმოსვლა ფედერაციის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ეს არ უნდა დაირღვეს. ასევე, არ უნდა დაირღვეს მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპიც. რაც შეეხება მიგრაციას: ვისაც კანონიერად აქვს დაბრუნების უფლება და სურვილი, ის დაბრუნდება და დაიწყებს ცხოვრებას ფედერალური ხელშეკრულების შესაბამისად. ამის შემდეგ, 3 წლის განმავლობაში, არავის ექნება უფლება, მუდმივად საცხოვრებლად ჩავიდეს იქ – არც საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს და არც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს. მუდმივად საცხოვრებლად ჩასვლა ნიშნავს, რომ შეისყიდის მიწას, იყიდის ბინას, გატარდება რეგისტრაციაში და გახდება მოქალაქე. ეს ეხებათ მხოლოდ ფიზიკურ და არა იურიდიულ

პირებს: სანარმოებს ან ორგანიზაციებს. თუ გვინდა, რომ ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდეს, მათ უნდა მივცეთ საშუალება, შემოიტანონ კაპიტალი. 3 წლის შემდეგ იმ ხალხის რაოდენობა, რომელიც იქ გადავა საცხოვრებლად და იყიდის სახლს იმ მოსახლეობის მსგავსად, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობს, აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობის 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ეს არის დემოგრაფიული ექსპანსიის შიშის გაქარწყლების მცდელობა, რომელიც აქვთ აფხაზებს ქართველების მიმართ. აქ იგულისხმება როგორც საქართველოს, ისე უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლა. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება დადგეს ამ შეზღუდვის მოხსნის საკითხი. ბუნებრივია, ამგვარი შეზღუდვა მიმოსვლის თავისუფლების უფლების დარღვევა და შეზღუდვაა. მაგრამ უფლების ამგვარი შეზღუდვა შესაძლებელია, თუკი ხალხი და სახელმწიფო შეთანხმდება ამაზე და ეს კონსტიტუციურად განმტკიცდება. დროთა განმავლობაში ეს პირობაც ამოწურავს თავის თავს.

**კითხვა:** როგორი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები იქნება აფხაზეთში?

**პასუხი:** აფხაზეთში მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქე იქნება და, იმავედროულად, საქართველოს ფედერალური სახელმწიფოს მოქალაქეც. რაც შეეხება კონკრეტულად მოწმობებს, ისინი შეიძლება განსხვავებული იყოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ არის, ვინაიდან პირადობის მოწმობა მხოლოდ ქვეყნის შიგნით გამოიყენება. შესაძლოა, მოწმობაში დიდი ასოებით ეწეროს აფხაზურად, რომ ის აფხაზეთის მოქალაქეა და პატარა ასოებით – ქართულად, ან პირიქით (აფხაზეთში სახელმწიფო ენები ქართული და აფხაზური ენები იქნება). ამ მოწმობის ერთადერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა ის იქნება, რომ მხოლოდ მის მფლობელებს ექნებათ აფხაზეთის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

თბილისიდან ჩასული ადამიანი თავისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით იქ რაიმე შეზღუდვის გარეშე ივლის. საზღვარგარეთის პასპორტი ყველას ერთნაირი ექნება. თუმცა, ვფიქრობთ, რომ პასპორტზე აფხაზური წარწერაც იყოს, ქართულთან და ინგლისურთან ერთად.

**კითხვა:** აფხაზი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხი თუ იმსახურებს ჯარში?

**პასუხი:** ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, სამხედრო სამსახური გაიარონ საქართველოს ფედერალური ძალების მხოლოდ იმ შენაერთებში, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგდება. თუმცა, თუ ენდომებათ, მათ უფლება ექნებათ, სხვაგანაც იმსახურონ. მეორე ვარიანტია, რომ აფხაზეთის ტერიტორია საერთოდ დემილიტარიზებული იყოს და სასაზღვროს გარდა, იქ სხვა სამხედრო ნაწილები არ იყოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, დღევანდელი შეთანხმება ამ საკითხზე მხოლოდ დროებითი უნდა იყოს და შემდეგ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ეს ვადა გაგრძელდეს ან საერთოდ გაუქმდეს და, სადაც სავალდებულო იქნება, ყველამ იქ იმსახუროს. ეს საკითხი ბუნებრივად მოგვარდება მას შემდეგ, რაც საქართველოს შეიარაღებული ჯარები პროფესიულ სისტემაზე გადავა.

**კითხვა:** პოლიცია მხოლოდ აფხაზი ეროვნების თანამშრომლებით დაკომპლექტდება?

**პასუხი:** ეს იქნება ადგილობრივი პოლიცია. მათი ძირითადი უფლებამოსილება იქნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ასეთ ფორმირებებში გაერთიანებულნი იქნებიან როგორც აფხაზები, ისე ქართველები და იქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

**კითხვა:** როგორი იქნება ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა და რა დავები განიხილება იქ?

**პასუხი:** ცხადია, დავები განხილულ უნდა იქნეს ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოში. პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში სხვადასხვა მოდელი მოქმედებს. მაგალითად, იუგოსლავიის კონფლიქტის შედეგად ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებობს ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შედგება ორივე მხარის სამ-სამი წარმომადგენლისა და სამი უცხოელი ექსპერტისაგან. ჩვენი აზრით, თუკი სხვა გზა არ იქნება, ამაზეც შეიძლება დათანხმება, მაგრამ საჭირო არ არის, რომ ამგვარი პოზიცია თავიდანვე შევთავაზოთ აფხაზებს. ჩვენ ვთა-

ვაზობთ, რომ აფხაზეთის წარმომადგენლები აუცილებლად იყვნენ ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები.

**კითხვა:** ფულის რა ნიშნები იქნება მიმოქცევაში აფხაზეთში?

**პასუხი:** ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე მაგალითი განვიხილეთ. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა დიდი ბრიტანეთის მაგალითი. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ აფხაზებს წინადადება, რომ ქართული ლარის რომელიმე კუპიურაზე, როდესაც ახალი პარტია დაიბეჭდება და გამოიცემა, გამოსახოს, ვთქვათ, აფხაზეთის ისტორიაში ცნობილი რომელიმე ფიგურა, ისტორიული ან არქიტექტურული ძეგლი, მაგალითად, სოხუმის ხედი. ამ კუპიურებს ისეთივე მსყიდველობითი უნარი და ისეთივე მიმოქცევა ექნებათ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც სხვა კუპიურებს. ჩვენ ვთავაზობთ, რომ კუპიურას აფხაზურ ენაზეც ჰქონდეს წარწერა. ეს რამდენადმე მათი პრეტენზიების დაკმაყოფილება იქნება. ემისიის უფლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფედერალურ ეროვნულ ბანკს ექნება.

ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმოქცევაშია ფული, რომელიც ბრიტანულ ფულს არ ჰგავს, მაგრამ დაბეჭდილია ბრიტანეთის ბანკის გადანყვეტილებით. ლონდონში ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია, მიიღოს და ყველა იღებს მათ ფულს და პირიქით. ასე რომ, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად, გავრცელდება აფხაზეთისთვის დამახასიათებელი ისტორიული ნიშნების მქონე კუპიურები. აფხაზეთში მცხოვრები რომ ჩამოვა თბილისში, იმ ფულით განახორციელებს სავაჭრო თუ სხვა ფინანსურ მოქმედებებს. კონცეფციაში წერია: „აფხაზეთის ხელისუფლებას, ასევე, შეიძლება ჰქონდეს, საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლით, სახელმწიფო ეროვნული ვალუტის მონეტებისა და კუპიურების გამოშვების უფლება.“ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს აფხაზეთისათვის ფულის ემისიის უფლების მინიჭებას.

**კითხვა:** პრივატიზაციის საკითხს ფედერალური ხელისუფლება განსაზღვრავს თუ ადგილობრივი?

**პასუხი.** პრივატიზაციის სფეროში კონკრეტულად რა შევა და ვისი გადასაწყვეტი იქნება, შესათანხმებელია ფედერაციასა და სუბიექტის ხელისუფლებას შორის და, ალბათ, ძირითადად, აფ-



ხაზეთის ხელისუფლების გადასაწყვეტი უნდა იყოს. ეს არ ეხებათ ფედერალური მნიშვნელობის ობიექტებს, რომელთა პრივატიზება ან საერთოდ არ უნდა მოხდეს, ან უნდა მოხდეს მხოლოდ ფედერაციის გადანაწევლებით. ასეთი შეიძლება იყოს რკინიგზა, რომელიც ფედერალური მნიშვნელობისაა, პორტი და ა.შ. სანარმოების პრივატიზაციას, შეთანხმებისამებრ, ადგილობრივი ხელისუფლება გადანაწევტს. ერთეული გამოწვევები ნამდვილად იქნება შენობები, რომლებიც შეიძლება ფედერაციული სახელმწიფოს საკუთრება იყოს. ყველაფერი დანარჩენი აფხაზეთის სახელმწიფო წარმონაქმნის საკუთრება იქნება. აფხაზეთის ხელისუფლება განკარგავს მათ. ფედერალური ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში. გარდა ამისა, თუ აფხაზეთს ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ ექნება, შეუძლებელია, ის იყოს ფედერაციის სუბიექტი.

აფხაზეთს შეუძლია საკუთარი გადასახადები დაადგინოს. დოკუმენტში კონკრეტულად არ წერია, რომელი გადასახადები შეიძლება იყოს აფხაზეთისა, ვინაიდან ეს შეთანხმებით განისაზღვრება. ამასთანავე, შესაძლებელია, საბაჟო გადასახადის ნაწილი აფხაზეთის ბიუჯეტში დარჩეს.

ეს სწორედ ის საკითხია, სადაც ძალიან კონკრეტული შეთანხმებებია საჭირო, ვინაიდან სწორედ ამ პრობლემების გადანაწევტა იქნება ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საფუძველი. აფხაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი ქონება, საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა, ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს აფხაზეთის პარლამენტმა და მათ თავად უნდა მოაწესრიგონ გადასახადების ამოღება, ფედერაციის გადასახადების გადაანგარიშება და ანგარიშსწორება ფედერალურ ბიუჯეტთან.

**კითხვა:** რა ენა იქნება აფხაზეთში სახელმწიფო ენა?

**პასუხი:** ჩვენ არ გავკვირდებით ყურადღება ენაზე, რადგან გასაგებია, რომ აფხაზეური და ქართული ძირითადი ენები უნდა იყოს. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ბევრმა ქართველმა არ იცის აფხაზეური და ბევრმა აფხაზმა, განსაკუთრებით ახალგაზრდამ, არ იცის ქართული. შესაბამისად, დგება ურთიერთობის საკითხი – რა ენაზე ისაუბრებს ხალხი ერთმანეთთან, რა ენაზე იქნება განხილვა პარლამენტში ან სახელმწიფო ორგანოებში. შესაძლებელია, გარდამავალ ეტაპზე გამოსავალი იყოს რუ-

სული ენის გამოყენება. ამიტომ, სამართლებრივი გადაწყვეტის მხრივ დასაშვებია ასეთი ვარიანტი: სახელმწიფო, ანუ ოფიციალური ენები არის ქართული და აფხაზური, მაგრამ დასაშვებია სახელმწიფო ორგანოებში რუსული ენის გამოყენება რამოდენიმე წლით. ანუ რუსული არის დროებითი ურთიერთობის ენა. თუმცა, დროთა განმავლობაში, თუკი ყველამ კარგად შეისწავლა ქართულიც და აფხაზურიც, ეს პრობლემა მოიხსნება. დღეს პრობლემა არის და მისგან გაქცევა კი არა, გამოსავლის მოძებნაა საჭირო.

**კითხვა.** აფხაზებს ეძლევათ ფინანსური ავტონომია. ფინანსური ავტონომია შიდა შემოსავლების თვალსაზრისით თითქმის ყველა რეგიონსა აქვს საქართველოში. თუმცა აქ დღის წესრიგში დგება საბაჟო გადასახადის საკითხი, და კიდევ, დანამატების უფლება. როგორი ურთიერთდაქვემდებარება ექნებათ ფინანსთა სამინისტროებს?

**პასუხი:** არ არსებობს ავტონომია, თუკი მას არა აქვს ფინანსური საფუძველი. ის არ უნდა იყოს დამოკიდებული ფედერაციის, ცენტრის დაფინანსებაზე, ტრანსფერებზე და ა.შ. ყველგან, სადაც კი არსებობს ავტონომია, მას აქვს შემოსავლების მიღების ავტონომიური საშუალებები. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ ესპანეთი. იქ, ფაქტობრივად, მოქმედებს ორი ეკონომიკური რეჟიმი. ჩვენ ვამბობთ, რომ აფხაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი შემოსავლის წყაროები. შესაბამისად, სწორედ ეს არის ფინანსური ავტონომია. რაც შეეხება ფედერალური და ადგილობრივი გადასახადების ურთიერთმიმართებას, ეს შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. თუმცა, ვფიქრობთ, ფედერალურ გადასახადებთან დაკავშირებით შეიძლება მოლაპარაკებისას კონსენსუსის მიღწევა, რომ გადასახადის რალაც ნაწილი დარჩეს აფხაზეთის ბიუჯეტში, დანარჩენი კი ცენტრალურმა ფედერალურმა ბიუჯეტმა წამოიღოს.

გარდა ამისა, აფხაზეთს ექნება თავისი საკუთარი ქონების პრივატიზაციიდან შემოსული შემოსავალი, რომელსაც იგი განაგებს, ასევე, საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი და ა.შ. იმავდროულად, აფხაზეთს ექნება თავის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლებისა და გადასახადების დანესების უფლება. ბუნებრივია, გონიერმა ხელისუფლებამ უნდა

გაითვალისწინოს, რომ მაღალი გადასახადების დაწესების შემთხვევაში იქ გაუარესდება საინვესტიციო, ტურისტული გარემო და ა.შ. გონივრული პოლიტიკის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, აფხაზეთი შეიძლება უმდიდრესი მხარე გახდეს, რადგან ამას ბუნებრივი პირობები უწყობს ხელს.

გარდა ამისა, ყველა ფედერაციულ სახელმწიფოში არსებობს ფინანსური გათანაბრების სისტემა. დაუშვებელია, რომ ფედერაციული სახელმწიფოს რომელიმე ნაწილი ძალიან ღარიბი იყოს, რომელიმე კი ძალიან მდიდარი. კონცეფცია ეფუძნება სოლიდარობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ. იმავდროულად, ფედერაციაც უნდა იყოს ჩართული ამ საქმეში. ანუ არსებობს ჰორიზონტალური ფინანსური გათანაბრების პრინციპი, როცა მხარეები ერთმანეთს ეხმარებიან და ვერტიკალური, როცა ფედერაცია ეხმარება თავის მხარეებს. შესაბამისად, მდიდარი მხარე ჩართულია ამგვარ პოლიტიკაში და, მაგალითად, მაღალმთიან რეგიონებს, სადაც განსაკუთრებული გაჭირვებაა, ტრანსფერს სთავაზობს. ოღონდ ეს იქნება ფედერალური ფონდიდან. ასეა, მაგალითად, გერმანიაში. გერმანიაში არის ძალიან მდიდარი მხარეები, მაგ., ბავარია, და ძალიან ღარიბი – ბრემენი. ამ უკანასკნელს ფედერაცია თავის მხრივ ეხმარება, მაგრამ მათ ფედერალური გათანაბრების ჰორიზონტალური სისტემით მდიდარი მხარეებიც ეხმარებიან. თუკი მდიდარი მხარე თვლის, რომ მისგან ბევრს მოითხოვენ, შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ასეთ საქმეებს.

**კითხვა.** როგორი იქნება აფხაზეთის სასამართლო სტრუქტურა და რა მიმართებაში იქნება ის ფედერალურ სასამართლო ხელისუფლებასთან?

**პასუხი:** ჩვენი ვერსია ასეთია: აფხაზეთში იქნება ადგილობრივი სასამართლო სისტემა. სასამართლო ხელისუფლება თითქმის ყველგან ცენტრალიზებულია. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებობს საკუთარი სისტემა. მაგრამ ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ინსტანციურობა. შესაბამისად, ორ თუ სამსაფეხურიანი სტრუქტურა – აპელაცია, კასაცია, დაბოლოს, ფედერალური სასამართლო. ჩვენი აზრით, სწორედ ასე უნდა იყოს აფხაზეთშიც. შესაბამისად, იქნება ქვედა ინსტანცი-

ის სასამართლო, შემდეგ უმაღლესი სასამართლო, ბოლოს კი ფედერალური სასამართლო, როგორც ბოლო ინსტანცია.

ეს მიდგომა სრულიად ცალსახაა. იმავდროულად, სხვა პატარა დეტალებიც არის აქ. ზოგიერთ სახელმწიფოში ისეა, რომ ადგილობრივი უზენაესი სასამართლო საქმეების განხილვისას იყენებს არა ადგილობრივ კანონებს და ნორმატიულ აქტებს, ანუ, ვთქვათ, აფხაზეთის კანონებს, არამედ ფედერაციის მიერ მიღებულ კანონებსაც. ასეთი ნიუანსები არსებობს და ის მომავალში დასამუშავებელი იქნება.

**კითხვა:** რა ფუნქციები აქვს დროებით საკოორდინაციო საბჭოს?  
**პასუხი:** ჩვენს მიერ წარმოდგენილი პირველი დოკუმენტი არის შეთანხმება კონფლიქტის მონესრიგების შესახებ, ხოლო მეორე – ფედერალური შეთანხმება. პირველი დოკუმენტი პოლიტიკური ხასიათისაა და კონფლიქტის მონესრიგების პროცესებს ეძღვნება. ერთ-ერთი ასეთი პროცესი დევნილებისა და ლტოლვილების აღწერა და დაბრუნებაა. ეს ყველაფერი ხორციელდება დროებითი საკოორდინაციო საბჭოს იურისდიქციით. დოკუმენტში წერია, რომ მხარეები ხელის მოწერისას თანხმდებიან, რომ პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნება საბჭო აფხაზეთისა და ქართველებისაგან და მასში, ასევე პარიტეტულ საწყისებზე, უცხოელებიც იქნებიან წარმოდგენილნი. ამ საბჭოს იურისდიქციით მიმდინარეობს ყველა პროცესი. მუშავდება ფედერალური შეთანხმების პროექტი, ქონებრივი უფლებების განსაზღვრა, დევნილთა და ლტოლვილთა აღწერა, დაბრუნების გეგმისა და გრაფიკის დადგენა და ა.შ. იქამდე, ვიდრე ეს პროცესი არ დამთავრდება და ყველა მსურველი არ დაბრუნდება. იმავდროულად, საბჭო განიხილავს ეკონომიკური, ჯანმრთელობის, სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, ფინანსურ დახმარებას და ა.შ. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება საკითხი ახალი საპარლამენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის ფედერალური ხელშეკრულების მიღების შესახებ.

## მეოთხე ნაწილი:

### იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხები

**კითხვა:** თქვენი კონცეფციის მიხედვით, როგორია დევნილთა დაბრუნების სქემა?

**პასუხი:** უნდა ჩატარდეს როგორც აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები ხალხის, ასევე დევნილებისა და ლტოლვილების (ვინც დატოვა საქართველოს ფარგლები) აღწერა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ზუსტი მონაცემები გვექონდეს დევნილებისა და იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაბრუნება. დაბრუნების პროცესი ნებაყოფლობითია. ვისაც დაბრუნება არ სურს, მათ შესახებაც უნდა იყოს ცნობილი. მხარეებისთვის ყველაფერი წინსწარ უნდა იყოს გარკვეული.

როცა მშვიდობიან დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა პირი თავის სახლში მივა და იქ უცხო პირი დახვდება, მას ძალით ვერ გაიყვანს ბინიდან. ის, ვინც იქ იმ დროისთვის იცხოვრებს, მშვიდობიანად უნდა გამოიყვანოს დაკავებული ბინიდან. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა მეთოდები და ფორმები იყოს გამოყენებული, როგორც სხვა ფართის შეთავაზება ორივე მხარის მიმართ, ისე კომპენსაციით მათი დაინტერესება. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთ დევნილს დაბრუნება არ უნდა და კომპენსაციას ითხოვს. მას იქ ჩაუსვლელადაც აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ესეც განსახილველი საკითხი უნდა გახდეს. დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი სახელმწიფოები მოგვეხმარებიან რესტიტუციის საკითხების გადაჭრაში. რაც შეეხება ყველა დანარჩენს, ვისაც დაბრუნება უნდა, ბუნებრივია, მათთვის ეს პროცესი რთული იქნება. მაგრამ ჩვენ არანაირ გამონაკლისს არ ვთავაზობთ. ჩვენ ვთვლით, რომ ყველას, ვინც დაამტკიცებს, რომ იქ ცხოვრობდა, დაბრუნების უფლება ექნება. მაგრამ ეს ერთბაშად ვერ მოხდება და ყველაფერი გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

ცალკე საკითხია დამნაშავეების გამოვლენა. ორივე მხარე ერთობლივად უნდა შეთანხმდეს, რომ მათთვის, ვინც ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაუ-

ლი – ასეთი შეიძლება იყოს როგორც ქართული, ისე აფხაზური მხრიდან – თუ გნებავთ, შევქმნათ საერთაშორისო სასამართლო, გნებავთ, ჩვენ თვითონ გამოვარჩიოთ ეს ხალხი და გამოძიების შემდეგ ვთქვათ – ეს ხალხი კი არ იბრძოდა, არამედ უდანაშაულო ადამიანებს და მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდა და ანამებდა. ისინი უნდა დაისაჯონ. გამორიცხული არაა, რომ საკითხი საყოველთაო ამნისტიის მიმართულებითაც წარვმართოთ.

**კითხვა:** რომელ რაიონებში და რა თანამიმდევრობით ფიქრობენ კონცეფციის ავტორები დევნილთა დაბრუნებას?

**პასუხი:** ეს არ არის ზუსტად განერილი. შეიძლება ისე არ იყოს, რომ ჯერ გალის რაიონში დაბრუნდნენ, მერე – ოჩამჩირეში, მერე – ტყვარჩელში და ა.შ., არამედ კონკრეტული რაიონების მიხედვით კონკრეტული ადგილები შეირჩეს. ვთქვათ, 50 კაცი გალის რაიონში დაბრუნდეს, 60 – დრანდაში, 40 – გუდაუთაში. შეთანხმების საკითხია. შეიძლება აქცენტი გაკეთდეს იმ ადგილებზე, სადაც უპრობლემოდ შეიძლება დაბრუნება, მაგ., სახლში, რომელშიც ადრე დევნილი ცხოვრობდა, ამჟამად არავინ ცხოვრობს. თუმცა, შეთანხმება თუ მოხდა, შეიძლება, რაიონების მიხედვითაც მოხდეს დაბრუნება.

**კითხვა:** თქვენ ამბობთ, რომ აფხაზებს არ ეშინიათ დევნილების დაბრუნებისა გალის რაიონში. მაგრამ, რაც შეეხება დანარჩენ აფხაზეთს, იქ ეშინიათ?

**პასუხი.** აფხაზები თვლიან, რომ გალის რაიონში ყოველთვის ქართველები ცხოვრობდნენ, იქ ისინი მაინც ვერ დაასახლებენ აფხაზებს, ვერ მოახდენენ ამ რაიონის „კოლონიზაციას“. ამიტომ არ ენინააღმდეგებიან ქართველების იქ ცხოვრებას. მათი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს ოჩამჩირის რაიონის სრული „კოლონიზაცია“ აფხაზი ეთნოსით, მაგრამ მათ ვერც ეს ამოცანა ვერ შეასრულეს და ეშინიათ დევნილების დაბრუნებისა, ვინაიდან მთელ აუთვისებელ ტერიტორიებს ქართველები შეავსებენ, რითიც კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ აფხაზები ქართველების გარეშე აფხაზეთის ტერიტორიას ვერ ითვისებენ. დღესდღეობით, გალში დაბრუნება არ ანგრევს აფხაზური სახელმწიფოებრიობის იდეას. მაგრამ, დადგება დრო, როდესაც აფხაზები დაიწყებენ მსჯელობას, რამდენად მომგებიანია, რომ გალის რა-

იონი რჩებოდეს აფხაზეთის ფარგლებში. გალის რაიონი თუ სამეგრელოს მხარის შემადგენლობაში გადავა, შესაბამისად, მათი ეთნიკური კვოტები გაიზრდება და ისინი უფრო ეფექტურად იმოქმედებენ თავიანთი ეროვნული პროექტის რეალიზაციისთვის.

**კითხვა.** იმ შემთხვევაში, თუ დევნილები აფხაზეთში დაბრუნდებიან, რა ბედი ელის იმ ხალხს, რომლის დაბრუნებაც აფხაზებს არ სურთ, ხოლო საქართველოსთვის უკვე „ბალასტია“? ვგულისხმობთ ყოფილ მეომრებს. ვინ დაიცავს მათ ინტერესებს?

**პასუხი:** ჩვენთვის ეს ხალხი „ბალასტი“ არ არის. თუ საზოგადოებაში იარსებებს ისეთი გაგება, რომ ვიღაცა „ბალასტია“, ამით ჩვენ ვერასდროს ვერ შევდგებით, როგორც სახელმწიფო. საზოგადოება, რომელიც ასეთი კატეგორიებით აზროვნებს, ვერასოდეს ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს.

რას ნიშნავს ინტერესების დაცვა? თუ თქვენი ინტერესია ცხოვრება თქვენს სახლში, ვერავინ ვერ უნდა შეგიშალოთ ხელი.

კონცეფციაში მეომრებზე ლაპარაკი არ არის. აქ ლაპარაკია ერთიან სიაზე, ანუ ყველა უნდა დაბრუნდეს. სისხლის სამართლის კოდექსში შესულია თავი – ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. არ დაისჯება ის ადამიანი, რომელიც თოფით ხელში იბრძოდა თავისი სახლ-კარის დასაცავად. ასეთი დიფერენცირება გამორიცხულია. გენოციდის მონაწილეები და მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელები უნდა დაისაჯონ, ოღონდ ეს არ უნდა შეეხოს მხოლოდ ქართულ მხარეს. ეს ორივე მხარეს ეხება და ამ პოზიციაზე უარს ვერავინ იტყვის. რაც შეეხება დაბრუნებულ პირებს, მათ უსაფრთხოებას, პირველ რიგში, საერთაშორისო დამკვირვებლები გააკონტროლებენ და დაიცავენ როგორც ქართული, ისე აფხაზური ძალები. არ არის გამორიცხული, დასაწყისისათვის საერთაშორისო ძალების ჩამოყვანაც დაგვეჭირდეს. ჩვენ დღეს საერთაშორისო სამართალი გვიცავს. რომ არ ყოფილიყო გაერო და ეუთო, სულ სხვა ვითარებაში ვიქნებოდით. ასეთი კარგი საერთაშორისო გარემო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია. ჩვენ მსოფლიო გვიცავს. ისინი ყოველთვის ცდილობენ დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები.

ეს კონცეფცია უფრო შორს მიდის. ჩვენ, ქართველები, უფრო მეტ დათმობაზე მივდივართ აფხაზეთის მიმართ, ვიდრე სა-

ერთაშორისო სამართალს შეუძლია ამის გაკეთება. ჩვენი დოკუმენტი ბოდენის დოკუმენტზე უფრო შორს მიდის. ბოდენს არ ჰქონდა უფლება, აფხაზებისათვის ის შეეთავაზებინა, რისი შეთავაზების უფლებაც ქართველებს გვაქვს. აღწერილი ფედერაციის განსაკუთრებულობა ის არის, რომ (თუ ის განხორციელდა ამ ფორმით ან დაახლოებით ამ ფორმით), ეთნიკური აფხაზები უმცირესობაში იქნებიან თავის ტერიტორიაზე. განსაკუთრებულობაც სწორედ ეს არის, ვინაიდან ეთნიკური პრინციპით აგებულ ფედერაციებში სატიტულო ხალხია უმრავლესობაში, ხოლო აფხაზეთში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები იქნებიან რა უმცირესობაში, მათი იდენტურობა და განვითარება დაცული იქნება და ისინი ამას ვილაცის მადლით კი არ მოიპოვებენ, არამედ თავიანთი უფლებამოსილებით განახორციელებენ.

**კითხვა.** ვთქვათ, სახლი, რომელიც დევნილს ეკუთვნოდა, გაყიდულია, იქ ცხოვრობს კაცი, რომელსაც ყველაფერი გადაფორმებული აქვს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

**პასუხი:** ამგვარი ყიდვა-გაყიდვის საკითხი აუცილებლად გადაისინჯება. ეს ყველაფერი დაბრუნების პროცესთან ერთად მოწესრიგდება. კონცეფცია ითვალისწინებს ქონების რესტიტუციის საკითხს. თუკი ამაზე შეთანხმება მოხდება, აფხაზების, ქართველებისა და უცხოელების მონაწილეობით პარიტეტულ სანქსიებზე შექმნილი ჯგუფი შეისწავლის ყველა დეტალს – რომელ სოფელში, რომელ სახლში ვინ ცხოვრობდა და შეაფასებს რეალურ ვითარებას: რა მდგომარეობაშია ეს სახლი, ცხოვრობს იქ ვინმე თუ არა და ა.შ. არ არის გამორიცხული, რომ დევნილი თავის სახლში აღარ დაბრუნდეს, მაგრამ მიიღოს სამართლიანი და ღირსეული კომპენსაცია.

**კითხვა:** რატომ არ არის ავტორთა შორის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელი?

**პასუხი:** კონცეფციის ავტორები წარმოადგენენ თანამოაზრეთა ჯგუფს, რომლებსაც საერთო ხედვა, საერთო მიდგომა აქვთ. სამწუხაროდ, დევნილი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტზე მუშაობს და რომელთა ნააზრევიც პრესის თუ აკადემიური წრეების საშუალებით ვრცელდება, ჩვენ ვერ ვნახეთ ადამიანი, ვისაც თანხვედრი ხედვა ექნებოდა. დევ-



ნილებთან შეხვედრების დროს ჩნდება სხვადასხვა მოსაზრებები და ისინი გათვალისწინებული იქნება.

**კითხვა:** თქვენ წერთ, რომ ისტორიულად საქართველო ქართველთა და აფხაზთა მიერ შექმნილი სახელმწიფოა, ხოლო აფხაზეთი აფხაზთა სამშობლოა. როგორ, აფხაზეთი ქართველების სამშობლო არ არის?

**პასუხი:** მხარეები ადასტურებენ, რომ ისტორიულად საქართველო ქართველთა და აფხაზთა მიერ შექმნილი სახელმწიფოა. აქ ლაპარაკია ერთ სახელმწიფოზე, ერთ სამართლებრივ ტერიტორიულ ერთობაზე. აფხაზეთი, ამ შემთხვევაში საქართველოს ერთი რეგიონი, – აფხაზი ხალხის სამშობლოა, სადაც საუკუნეების განმავლობაში აფხაზებთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ ქართველები. სამშობლოს ცნება არ არის სამართლებრივი ცნება. სამშობლო ადამიანისთვის არის კარგად ნაცნობი გარემო. მას განსაკუთრებული, ემოციური დატვირთვა აქვს ყოველი ცალკეული პირისათვის. აფხაზებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შედარებით მარტივ ფორმულირებას, რომელიც მხოლოდ ემოციებზეა დაყრდნობილი და არანაირი სამართლებრივი კატეგორია არ გააჩნია, ქართველებისთვისაც აქვს მნიშვნელობა. ანუ თქვენ ისტორიული მეხსიერება კი არაა, რეალური პოლიტიკური ამოცანა უნდა გაითვალისწინოთ. ეს იმდენად მიმზიდველი პოზიცია იქნებოდა აფხაზებისათვის, რომ ისინი შეიძლება ჩართულიყვნენ ამ დიალოგში. ჩვენ უნდა დავეფიქსიროთ მათ მრავალსაუკუნოვანი და პოლიტიკურად სრულიად არაფერისმთქმელი ფრაზა – აფხაზეთი აფხაზთა სამშობლოა. ამ დებულების საფუძველი ისაა, რომ დაკმაყოფილდეს აფხაზების განცდა, რომ აფხაზეთი არის მათი სამშობლო.

ეს ძალიან მტკივეული საკითხია და განსაკუთრებით იგრძნობა დევნილებში. ავტორებმა ჩავთვალეთ, რომ თქვენი გრძნობა შესაძლოა გამოხატულიყო ფრაზით – საუკუნეების განმავლობაში იქ ცხოვრობდნენ ქართველები. როცა ადამიანი საუკუნეების განმავლობაში სადღაც ცხოვრობს, ბუნებრივია, რომ ეს მისი სამშობლოა. ეს ცოტა უფრო ნეიტრალური სიტყვებია და თქვენთვის შეიძლება მართლაც მიუღებელი იყოს, მაგრამ, თუ თქვენ კეთილგანწყობითა და გაგებით მოეკიდებით, მიხვდებით, ნამდვილად იმას ვგულისხმობთ, რომ აფხაზეთი მთელ საქართ-

ველოსთან ერთად – თქვენი სამშობლოა. მაგრამ ჩვენ არ ჩავვითვლია, რომ ეს აფხაზებისათვის ამ სახით მიგვეწოდებინა. ბუნებრივია, ეს შეიძლება შეიცვალოს.

აფხაზები – უნდა ჩაითვალოს ერთად, რომელსაც არსებითი მონაწილობა აქვს მიღებული საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის ჩამოყალიბებაში. ჩვენი აზრით, კონფლიქტის მოგვარებაში ისტორიული ნიაღვრები საქმეს აფუჭებს. რამდენიმე ძალიან თვალსაჩინო მაგალითი გვაქვს, როდესაც ისტორიულმა დასაბუთებებმა მოლაპარაკება ჩიხში შეიყვანა. მაგალითად, 2001 წელს ბიჭვინთაში გაიმართა კონფერენცია. მაშინ გაეროს წარმომადგენელი იყო დიტერ ბოდენი და მან ვენეციის კომისიის წარმომადგენლები მოინვია ამ კონფერენციაზე. ეს არის კომისია, რომელიც ევროპის ნევრ-სახელმწიფოებში კონსტიტუციურ საკითხებს სწავლობს და რეკომენდაციებს სთავაზობს მათ. ქართული მხარე ჩავიდა, რათა სახელმწიფოს მონაცემების სხვადასხვა მოდელზე ემსჯელა. თავიდან აფხაზურ მხარეს ეს არ უნდოდა, მაგრამ ერთად ჯდომა და საუბარი მაინც მოხერხდა. პირველი მოხსენება, რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო პროკურორმა ანრი ჯერგენიამ გააკეთა, მთლიანად ისტორიულ მიმოხილვას დაეთმო. მან ძალიან დეტალურად განიხილა ის, რაც ხდებოდა აფხაზეთში VII– XX საუკუნეებში. თანაც ისტორიულ წყაროებს დაეყრდნო. შემდეგ, ქართული მხარის სახელით, გამოვიდა ლევან ალექსიძე და, ასევე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ზუსტად საწინააღმდეგო ილაპარაკა. შემდეგ ჯერგენია ადგა და შეხვედრა დატოვა. კინალამ ყველაფერი ჩაიშალა. როდესაც კონფლიქტურ საკითხებს ვწყვეტთ, პრიორიტეტად ისტორიის აღება არაფერს იძლევა. ჩვენი რჩევა ყოველთვის ის იქნება, რომ ვისაუბროთ არა VII და XII საუკუნის ამბებზე, არამედ დღევანდელ დღეზე. ვინც წარსულზე არ ფიქრობს, ის მომავალსაც ვერ ააშენებს, მაგრამ, ვერც ის ააშენებს ვერანაირ მომავალს, ვინც მხოლოდ წარსულზე აპელირებს. ამიტომ ჩვენი მიდგომა ასეთია: ესენი არიან აფხაზები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებმაც ისტორიულად ქართველებთან ერთად ჩამოაყალიბეს საერთო სახელმწიფო. სწორედ ამას აღიარებს ამ დოკუმენტის პროექტი. ანუ ჩვენ ვამბობთ, რომ ერთ სახელმწიფოში ორივე ხალხი ცხოვრობდა.

რაც შეეხება ტერიტორიას, ეს იქნება საქართველოს ფედერაციის ტერიტორია.

## მესამე ნაწილი:

### კითხვები მოსალოდნელ პრობლემებსა და რისკებთან დაკავშირებით

**კითხვა:** როგორ განეიტრალებს რუსეთის ფაქტორი?

**პასუხი:** რუსეთის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია და ამის უგულებელყოფა არ შეიძლება. რუსეთი უდაბნოს მცხუნვარე მზესავითაა – გინდა თუ არ გინდა, არსებობს. ის სტიქიაა, თუმცა ადამიანი სტიქიაზე საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს. რუსეთი იქნება ყოველთვის. უნდა ვისწავლოთ მცხუნვარე მზეში ცხოვრება და სტიქიის მართვა. რუსეთთან შეიძლება მუშაობა. რუსეთთან მუშაობს მთელი მსოფლიო და ცდილობს მის მოთოკვას. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს გამო რუსეთს არავინ დაუპირისპირდება – არც ევროპა და არც აშშ. მაგრამ ყველა დადგება ჩვენს გვერდში, თუკი დემოკრატიული სახელმწიფო ვიქნებით და ვინმე შეეცდება ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურებას. მაგრამ, თუ ჩვენ აფხაზებს შეეუქმნით საფრთხეს, ამას არ მოგვინონებენ. თუ ჩვენს სახელმწიფოში ვერ მოვახერხებთ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, მაშინ არავინ დაგვიცავს. საქართველოს ერთადერთი მოკავშირე დემოკრატიურია. რაც უფრო მალე დავამკვიდრებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, მით უფრო დაცულნი და გარანტირებულნი ვიქნებით. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. რუსეთი ამას წინ ვერ აღუდგება. ყველაფერი ჩვენს სიძლიერება და მოკიდებული. რუსეთის ძალა აფხაზეთში ჩვენს აგრესიაშია. რაც უფრო აგრესიულები ვართ, მით უფრო ძლიერია რუსეთი. 2004 წლის ზაფხულში ცხინვალში მშვენივრად გამოჩნდა ეს. ჩვენ არ გვაინტერესებდა ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების ინტერესები. და ეს მშვენივრად გამოიყენა ოსურ მხარეს ამოფარებულმა რუსეთმა. ეს იყო ქედმაღლური პოლიტიკა. ასეთივე პოზიცია გვქონდა აფხაზეთის კონფლიქტშიც – ქართველებს გვეგონა, უკეთესად ვიცოდით, თუ რა უნდოდათ აფხაზებს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კონფლიქტში მართო ქართული და რუსული მხარე არ არის. ამ კონფლიქტში არის აფხაზური მხარეც. ვიდრე ჩვენ მხარეების ინტერესებს

არ გავითვალისწინებთ, ვერანაირ სამართლიან გადაწყვეტილებას ვერ მივალწევთ. შეცდომის აღიარება ღირსებაა და სანამ ჩვენში შეცდომების აღიარება სირცხვილად და სისუსტედ ითვლება, ძნელი იქნება მკვდარი წერტილიდან დაძვრა. აუცილებელი არ არის მუხლებზე დადგომა და პატიების თხოვნა. ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალა და ვალიაროთ, რომ საქართველოს სახელმწიფომ მიძიმე შეცდომა დაუშვა, როგორც აფხაზეთის, ასევე მთელი საქართველოს მიმართ. თუ ჩვენ გვინდა, ვიყოთ სამართლებრივი სახელმწიფო, უნდა ვისწავლოთ სამართლებრივი აზროვნება. ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი – პირველი, მეორე, მესამე.. იქამდე, ვიდრე პროცესს არ დავძრავთ, ვინაიდან ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო.

**კითხვა:** მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო ხომ არ არის დამნაშავე? დამნაშავეა არა აფხაზი ხალხი, არამედ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება არძინბას სახით. აფხაზეთის ხელისუფლება არძინბას სახით და საქართველოს ხელისუფლება შევარდნაძის სახით – ორივე დამნაშავეა აფხაზი და ქართველი ერის წინაშე.

**პასუხი:** რა არის მთავარი – გამოვავლინოთ დამნაშავე, თუ აღვადგინოთ სამართლიანობა და მოვანესრიგოთ კონფლიქტი? თუკი მეორეა მთავარი, მაშინ ჩვენ ვამბობთ: ახლა არ არის იმის გარჩევის დრო, თუ ვინ არის დამნაშავე. აღვადგინოთ სახელმწიფო და სასამართლოს გზით ვიპოვიოთ დამნაშავესაც. არსებობს სამართლებრივი ცნება – ამნისტია. თუ გროვდება დანაშაულებრივი სიმრავლე, საზოგადოება ხდება მისი მძევალი, მძევალი პრობლემის გადაწყვეტის სიმძიმისა. ამიტომ ხელისუფალი დგამს გარკვეულ ნაბიჯს – აპატიებს დანაშაულს და დამნაშავეებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აბრუნებს.

პოლიტიკა ყოველდღიური საქმიანობაა. აფხაზეთის დაბრუნება საჭიროა ყოველდღე. ჩვენ გვგონია, რომ ვილაც ოდესმე დაიბრუნებს აფხაზეთს. ასე არ არის. თუ ყოველდღე არ დავიბრუნეთ აფხაზეთი, მას ვერ დავიბრუნებთ სხვა რამ მეთოდით. სახელმწიფოს მართვა ყოველდღიური საქმიანობაა. ყოველთვის საჭიროა, ემოციებზე წინ მიზანშეწონილობა დავაყენოთ. თუ მე მჭირდება, რომ აფხაზმა ბოდიში მომიხადოს, ვიტყვი – სანამ აფხაზი ბოდიშს არ მომიხდის, არ გავაერთიანებ საქართველოს. რას მივალწევთ ამით?

**კითხვა:** ხომ შეუძლიათ აფხაზებს გვიტხრან – ეს ჩემი სამშობლოა, თუ გინდა, იცხოვრე, თუ არა და...

**პასუხი:** აფხაზები ამას უკვე ამბობენ. ასე რომ – ეს არ იქნება ახალი. ახალი არის ეს კონცეფცია. ამ დოკუმენტს ხელი მოეწერება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დოკუმენტს და არა, როგორც აფხაზეთისას. დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება საერთაშორისო დონეზე ხდება. თუ დღეს აფხაზეთი დამოუკიდებელი არ არის, ეს იმიტომ ხდება, რომ მას არავინ აღიარებს. თუ ხორვატია და ბოსნია-ჰერცეგოვინა დამოუკიდებელნი გახდნენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ისინი აღიარა მრავალმა სახელმწიფომ. საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო სამართლითაა უზრუნველყოფილი. ეს არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პოზიცია. ჩვენ დღეს სხვადასხვა პოზიციებზე ვართ, ვინაიდან ჩვენთვის ცნება – „სამშობლოს“ სხვადასხვა დატვირთვა აქვს. ზოგისთვის – ემოციური და ზოგისთვის – ისტორიულ-სამართლებრივი.

**კითხვა:** აფხაზები ამბობენ, რომ დამოუკიდებლობა უნდათ. ამბობენ, რომ ამის გარეშე არანაირ ლაპარაკს არა აქვს აზრი. რატომ დაგვიწყებენ ისინი ლაპარაკს სტატუსზე და, საერთოდ, რაიმე სახის ერთიან სახელმწიფოებრივ მოწყობაზე?

**პასუხი:** ეს, ერთი შეხედვით, მართლაც ასე ჩანს, მაგრამ ჩვენ გვექონია პირადი შეხვედრები აფხაზებთან, მათ შორის, გავლენიან პოლიტიკურ ფიგურებთანაც. ისინიც თავიდან ამბობდნენ, რა საჭიროა სტატუსზე ლაპარაკიო. როცა უცხოელი დამკვირვებლები შესთავაზებდნენ, ახლა სტატუსზე ვილაპარაკოთო, პირველი რეაქცია ყოველთვის იყო, რომ ახლა საჭირო არ არის ამაზე ლაპარაკი, ჩვენ დამოუკიდებლები ვართ და სხვა თემებზე ვილაპარაკოთ, მაგალითად, ეკონომიკურ ბლოკადაზეო. მაგრამ, როდესაც ეს კონცეფცია თითქმის დამთავრებული გვექონდა, ერთ-ერთ შეხვედრაზე 2003 წლის დეკემბერში, ჩვენი თვალსაზრისი მათ 5-6 პუნქტით ჩამოვუყალიბეთ. დისკუსიამ ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია. უამრავი კითხვა დაისვა. მათ რაღაც გონივრული დაინახეს. გამოჩნდა, რომ აქ არ იყო ლაპარაკი აგრესიაზე. არჩევნების წინ,

ცხადია, ვერცერთი აფხაზი ვერ იტყოდა, რომ საქართველოსთან რაიმე კავშირი უნდა, მაგრამ ასეთი შინაგანი განწყობა ყოველთვის არსებობს. კონფიდენციალური საუბრისას ნამდვილად აღიარებენ, რომ ძალიან ბევრი პრეტენზია აქვთ რუსეთის მიმართ და ეს ე.წ. საპარლამენტო არჩევნების შედეგებმაც დაადასტურა. მათ იციან, რომ რუსეთთან მომავალი არა აქვთ. ამას შეხვედრებზე ღიად ამბობდნენ. ისინი ჩვენგან კონკრეტულ შეთავაზებებს რომც არ ელოდნენ, ჩვენგან ეს შეთავაზებები მაინც აუცილებლად გასაკეთებელია, რათა ვიცოდეთ, რაზე, რატომ და როგორ ამბობენ ისინი უარს. თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ თუ ამ ტიპის დოკუმენტი მათ ოფიციალურად მიენოდებათ, მათ უარგუმენტო უარის თქნა ძალიან გაუჭირდებათ და ამით მხარდამჭერებს ნადვილად ვერ მოიპოვებენ. ბუნებრივია, წინადადების შეთავაზებაზე პასუხის მიღება ძალიან რთული იქნება. აფხაზები თანამშრომლობაზე ერთბაშად ვერ წამოვლენ. მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ მათ საქართველოს პოზიციები აინტერესებთ. ერთმა ძალიან სერიოზულმა და ავტორიტეტულმა აფხაზმა პოლიტიკოსმა იმ შეხვედრაზე, განხილვისას, ასეთი რამ თქვა: იქიდან, რაც თქვენ წარმოადგინეთ, 90%-ს დღესვე მოვანერდი ხელს და 10%-ზე კი მოვილაპარაკებდითო. დროთა განმავლობაში ისინი კიდევ უფრო უნდა დავაინტერესოთ დისკუსიით.

**კითხვა:** რას ვუპასუხებთ აფხაზებს, თუკი ისინი მაინც მოითხოვენ გამოყოფას?

**პასუხი:** ჩვენი აზრით, კარბი იქნება, თუ ვეტყვი — კარგი, ამ ვარიანტის განხილვა შესაძლებელია, ოღონდ ძალიან დეტალურად გავწეროთ პროცედურა. გასარკვევია, საკითხის დაყენების უფლება ვის ექნება, პარლამენტში რა უმრავლესობით უნდა მიიღონ ეს საკითხი, ამის მერე რეფერენდუმი უნდა მოენწყოს მთელს აფხაზეთში და მერე, მთლიანად საქართველოს ფედერაციაში. ეს უნდა იყოს განერილი მექანიზმი, რომელიც ფაქტობრივად რთულად განსახორციელებელი იქნება. მაგრამ, თუ გვთხოვენ, რომ ესეც გავითვალისწინოთ და ამის შემდეგ ერთად ცხოვრებაზე თანახმა იქნებიან, არ უნდა შეგვეშინდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ, ერთი შეხედვით, ძალიან მტკივნეულ და ძალიან მგრძობიარე საკითხებზეც უნდა შეგვეძლოს

ლაპარაკი. ეს, საერთო ჯამში, წარმატებას მოიტანს. ამ დოკუმენტის ღირსება ისაა, რომ – რადგან ეს საბოლოო ვარიანტი არ არის, ბევრი პოზიცია შეგნებულად ბუნდოვანია, რათა კამათში პოზიციები უკეთესად ჩამოყალიბდეს. როგორც კი აფხაზები კითხვებს დასვამენ, ეს იქნება იმის მაუწყებელი, რომ მათ შეუძლიათ საერთო სახელმწიფოში ცხოვრება დაუშვან და დიალოგი გამართონ. ვფიქრობთ, თუ აფხაზები იტყვიან, რომ თანახმანი არიან საერთო სახელმწიფოში ცხოვრებაზე, ოღონდ განსაზღვრული უნდა იყოს გამოყოფის პროცედურები, ქართული მხარე მზად უნდა იყოს ამ საკითხის განსახილველად. როგორც წესი, წარმატებული სახელმწიფოდან გამოყოფა არავის უნდა. თანამედროვე სახელმწიფოები კი არ იყოფიან, არამედ ერთიანდებიან – აერთიანებენ ჯარს, ფულს, საზღვრებს, კანონებს და თვით კონსტიტუციასაც კი. ანუ მსოფლიოს საერთო ტენდენცია სულ სხვა არჩევანისკენ და პერსპექტივისკენ უბიძგებს აფხაზეთს. შესაძლოა, კონცეფცია ბევრ ბუნდოვან პოზიციას ბადებს, მაგრამ ეს ბუნდოვნება საერთო დიალოგისა და შეთანხმების კონტექსტში გაიფანტება. ამიტომ, ჩვენს კონცეფციაში ბევრი ბუნდოვანი პოზიციაა დაფიქსირებული, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა.

## სარჩევი

შესავალი .....	3
„შერიგების რესურსების“ მონაწილეობა კონცეფციაში და „ხშირად დასმულ შეკითხვებში“ .....	13
<b>პირველი ნაწილი:</b> კითხვები კონცეფციის შესახებ .....	14
<b>მეორე ნაწილი:</b> კითხვები აფხაზეთის სტატუსის შესახებ .....	19
<b>მესამე ნაწილი:</b> კითხვები ფედერალურ დაწესებულებებზე .....	27
<b>მეოთხე ნაწილი:</b> იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხები .....	37
<b>მეხუთე ნაწილი:</b> კითხვები მოსალოდნელ პრობლემებსა და რისკებთან დაკავშირებით .....	43